საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფეა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 18 ივლისი. 2019 წ. №144 (8810) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

არ ჩაეროთ „ცრუსთავი-2“-ის ფუყე გნიასში!

დღეს, 12 საათისთვის, „ცრუსთავი-2“ ნაცკოშმარის მეხოტბეებს ჯიქიას ქუჩაზე განთავსებულ საკუთარ გასამხედროებულ რეზიდენციაში ეპატიჟება – ერთად ვიზეიმოთ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საჩვენო განაჩენით მოგვრილი გამარჯვებაო.



ზემოთ სიტყვა გასამხედროებული შემთხვევით არ დაგვიწერია – ქალაქში უკვე კარგა ხანია დადის ხმები, რომ გვარამიას ბორდელვიზიის ოფისს, ხელისუფლების მხრიდან ამოშანთვის მცდელობის პრევენციის მიზნით, შეიარაღებული მიშარასტები იცავენ. ამ ვერსიის გავრცელებას ნოყიერ ნიადაგს თვით უკრაინაში ჩაწანწალებული ფიურერის ბოლოდროინდელი დირექტივა უქმნის – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ბარიკადები აღმართეთ და მართალი სიტყვის ციტადელი შეინარჩუნეთო.

თუმცა, ეს ჯერ კიდევ არაფერია უმთავრესთან შედარებით – გონივრული ეჭვი გვაქვს, რომ ნებისმიერი ვერდიქტის შემთხვევაში „დემოკრატიის შუქურას“ თანამოაზრენი ისეთივე ფუყე გნიასს ატეხენ, როგორც საბედისწერო 2008 წლის აგვისტოში, როცა, თურმე, რუსეთი დაგვიმარცხებია...

ამჯერად მაინც არ მოტყუვდეთ, ქართველებო!

ლავროვმა რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლის აღდგენის პირობები დაასახელა

რუსეთმა საქართველოსთან ავიამიმოსვლა, შესაძლოა, იმ შემთხვევაში აღადგინოს, თუ ხელისუფლება ქვეყანაში ვითარების სტაბილურობასა და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეძლებს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გამოცემა „არგუმენტი ი ფაქტისთან“ ინტერვიუში განაცხადა.

ლავროვმა აღნიშნა, რომ რადიკალურად განწყობილი პოლიტიკური ძალები „საქართველოში რუსოფობიურ განწყობას აღვივებენ“. მისი თქმით, ეს ზიანს აყენებს პირველ რიგში საქართველოსა და მის მოქალაქეებს. მისივე თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „რუსთავი-2“-ის წამყვანის გიორგი გაბუნიას უცენზურო მონოლოგი ვლადიმირ პუტინის მიმართ საზოგადოებამ მკაცრად დაგმო. **შეგახსნებთ, თბილისში 20 ივნისს განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლა 8 ივლისს შეწყვიტა.**

„შეიძლება, მარცხის შემთხვევაში, შეკრებილი ხალხის მუხტით, „რუსთავი-2“-მა დაიწყოს საპროტესტო აქციები“

გვარამია ისევ ჯოჯოხეთის ებღაუჭება

დღეს, 18 ივლისს, სტრასბურგის სასამართლო აქვეყნებს გადაწყვეტილებას – ვინ გახდება „რუსთავი-2“-ის მეპატრონე – მისი კანონიერი მფლობელი **ქიბარ ხალვაში** თუ არხის არაფორმალური მფლობელები ძმები **ყარამანიშვილები**. როგორც ცნობილია, ქიბარ ხალვაშს ტელეკომპანია „რუსთავი-2“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცა, ახლა სტრასბურგის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ჰქონდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს შეზღუდული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

გადაწყვეტილება ორგვარი შეიძლება იყოს: **პირველი** – სტრასბურგის სასამართლომ დაადგინოს დარღვევა, რაც ახალი პროცესების დაწყების საფუძველია; **მეორე** – თუ სტრასბურგის სასამართლო დაადგენს, რომ ქართულ სასამართლოში არ დარღვეულა მხარის უფლება, ამ შემთხვევაში **ქიბარ ხალვაში** უნდა დარეგისტრირდეს კომპანიის მესაკუთრედ. კერძოდ, თუ სტრასბურგის სასამართლო იტყვის, რომ დროებითი ღონისძიება, რომელიც იყო გამოყენებული, უნდა გაუქმდეს, ამავდროულად იტყვის, რომ არანაირი დარღვევა არ ყოფილა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში უნდა დარეგისტრირდეს მესაკუთრედ.

სტრასბურგის გადაწყვეტილების მოლოდინშია „რუსთავი-2“-ც. არხის გენერალური დირექტორი მხარდამჭერებს მოუწოდებს, დღეს 12 საათიდან შეიკრიბონ არხის ეზოში და ერთად იზეიმონ სამართლიანობა. **ნიკა გვარამია** მოუწოდებს მეორე მხარეს, ტყუილად ნუ ავრცელებენ, რომ „რუსთავი-2“-ს გადაიბარებს ქიბარ ხალვაში.

„ტყუილით ნუ ამხნევებთ და ბოლო იმედს ნუ აძლევთ სასოწარკვეთილ მომხრეებს: კი, ვართ გაფარჩაკებული, მაგრამ „რუსთავი-2“-ს წავიღებთ და ამოვისუნთქავთო. ტყუილია! „რუსთავი-2“ დარჩება იმ სტატუს-კვოთი, როგორიც დღესაა. გავიმარჯვებთ აუცილებლად და სამართლიანობა იზეიმებს. სამართლიან გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ გადაახტება, ვერ გაბედავს და მორჩა. გაბედავს და მოხვდება მწარედ! 18 ივლისს ერთად ვიზეიმოთ სამართლიანობა! ვიკრიბებით „რუსთავი-2“-ის ეზოში დღის 12 საათზე! მოდით! მოიყვანეთ ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები! დიდი ზეიმი იქნება, გპირდებით!“, – წერს **ნიკა გვარამია**.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს ბიზნესმენი **ქიბარ ხალვაში**, როგორც მან For.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, ელოდება სასამართლო გადაწყვეტილებას და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს კომენტარს.

ხალვაშის ინტერესების დამცველი, **პაატა სალია** განმარტავს, რომ სტრასბურგის სასამართლომ უნდა თქვას, შეილახა თუ არა მოწინააღმდეგე მხარის უფლებები, თუმცა მისი თქმით, საქართველოში არ ყოფილა რაიმე ისეთი დარღვევა, რამაც შეიძლება სხვა გადაწყვეტილება მიაღებინოს სტრასბურგის სასამართლოს, ანუ შეიცვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

„ახალი არ იქნება თუ გავახმიანებთ, რომ საქართველოს სასამართლოში დარღვევა, რასაც შეეძლო რამე ზეგავლენა გამოეწვია საბოლოო გადაწყვეტილებაზე, არ ყოფილა. შესაბამისად, ჩვენ თუ ავიღებთ პარალელურად და გავიხსენებთ, რა განცხადებებს აკეთებდა „რუსთავი-2“-ის მენეჯმენტი პირველი დღიდან დაწყებული, როცა სარჩელი შევიდა – დაიწყო შეტევა, მაშინვე უნდობლობა გამოეცხადა საქართველოს სასამართლო სისტემას. იმასაც ამბობდნენ, არა აქვს მნიშვნელობა ვინ განიხილავს, ურთმელიძე თუ სხვა მოსამართლე, ჩვენ მაინც არ ვენდობით საქართველოს სასამართლოსო.

იხ. 5 გვ.

ყველა შემხვედრი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრის გამოკითხვა

პროკურორ გიორგი მუჯირის თქმით, გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება.

„გამოძიების ფარგლებში 200 პირია გამოკითხული, როგორც დაშავებული პირები ასევე სამართალდამცავი ორგანოს და მასმედიის წარმომადგენლები. ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილია დამუშავებული და დაუმუშავებელი კადრები. ასევე 15 საავადმყოფოდან და სასწრაფო სამედიცინო სამსახურიდან სამედიცინო დოკუმენტაციაა ამოღებული, რომელზეც სამედიცინო ექსპერტიზა მიმდინარეობს. საქმის ფარგლებში ტარდება ყველა შემხვედრი, აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დანაშაულის ჩამდენი პირების მხილების. მათ მიმართ სისხლის სამართლის დევნის დაწყების მიზნით. გამოძიების საგანი გახლავთ როგორც ცალკეულ შემთხვევებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები, ასევე შსს-ს მხრიდან თანაზომიერების პრინციპის დაცვის საკითხი, რაშიც ვგულისხმობ გამოყენებული საპოლიციო ღონისძიება იყო თუ არა გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მეორე პირიც იქნა მიცემული, ასევე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი. გამოძიება კვლავ გრძელდება დანაშაულის ჩამდენი პირების მხილების მიზნით. რომლის მიმართაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით შეიკრიბება მტკიცებულებები დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი სისხლის სამართლებრივი დევნა იქნება დაწყებული მიუხედავად მის მიერ დაკავებული თანამდებობისა. გამოძიება გრძელდება სხვა პირების მხილების მიზნით. თავისთავად იგულისხმება, რომ იკვეთება სხვა პირთა მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტები და სწორედ ამ მიზნით გრძელდება გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში.

ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა მინისტრი საქმეზე გამოკითხული არ არის. ყველა შემხვედრი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდება, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრის გამოკითხვა“, — განაცხადა პროკურორმა.

დაკავებულია კიდევ სამი პირი

„გამოძიების ფარგლებში ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის მოსამართლის განჩინების საფუძველზე სამართალდამცველებმა კიდევ 3 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 20-21 ივნისს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენებისას, აღნიშნული პირები მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, სხვადასხვა საგნის გამოყენებით ახორციელებდნენ პოლიციელებზე თავდასხმას, უწევდნენ მათ წინააღმდეგობას და ორგანიზებულად, შტურმით ცდილობდნენ პარლამენტის შენობაში შეჭრას. **კერძოდ: 1974 წელს დაბადებული ც.ც., რომელიც თავს დაესხა სამართალდამცველებს, კერძოდ აყენებდა მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას, ურტყამდა ხელკეტს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში; 1994 წელს დაბადებული ს.ბ., რომელმაც სამართალდამცველებს წაართვა თავდაცვითი დანიშნულების საგანი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში; 1989 წელს დაბადებული ლ. ჯ., რომელიც სამართალდამცველებს ურტყამდა ფარს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში.**

აღსანიშნავია, რომ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით, დღეის მდგომარეობით, პასუხისგებაშია მიცემული 12 პირი, მათ შორის პარლამენტის წევრი — ნიკანორ მელია, რომელსაც ბრალი ედება ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობაში. შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულში მონაწილე სხვა პირების იდენტიფიცირების პროცესს ინტენსიურად აგრძელებს. მტკიცებულებების მოპოვებისთანავე გაგრძელდება ქმედებებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას ეტაპობრივად მივაწვდით ინფორმაციას“, — აცხადებენ შსს-ში.

გია ვოლსკი: ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს არ სჭირდებათ მინისტრი, რომელიც პარლამენტის, სახელმწიფო დანესებულების შტურმით აღებას არ დაუშვებს

გია ვოლსკის შეფასებით, შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას გადადგომის თემის ინტენსივობა განპირობებულია იმით, რომ ტოლობის ნიშანი დაისვას 2011 წელს პოლიციის მოქმედებასა და შტურმის მოგერიების დროს მოქმედებას შორის.

„გიორგი გახარიას თანამდებობიდან გადადგომის თემის ინტენსივობა განპირობებულია იმ სურვილით, რომ როგორლაც ტოლობის ნიშანი დაისვას დანაშაულებრივ ქმედებებს შორის, რომელიც პოლიციას 2011 წელს, ასევე სხვა წლებში ჰქონდა და, რომელიც შტურმის მოგერიების დროს ჰქონდა პოლიციას. წინა ხელისუფლების პერიოდში სისტემური დანაშაული ხდებოდა, რომელიც გამიზნული პოლიტიკა იყო. ამ შემთხვევაში კი, გადაცდომებს ჰქონდა ადგილი, რაზეც გამოძიებაც მიმდინარეობს და წაყენებული აქვთ ბრალი გარკვეულ ჩინოსნებს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

მისი თქმით, აღნიშნული ორი თემა საგანგებოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ოპონენტებისთვის.



კახა კალაძე: დაპირისპირება, სამოქალაქო ომები წარსულს ჩავაბარეთ!

არავის უნდა ეპატიოს და არ უნდა იყოს მცდელობა, რომ საქართველოში ნომერ პირველ ინსტიტუტზე მოხდეს შეტევა, იყოს შტურმით აღების მცდელობა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერმა კახა კალაძემ განუცხადა.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან ცუდია ის, რაც მოხდა. რა თქმა უნდა, არავის უნდა ეპატიოს და არ უნდა იყოს იმის მცდელობა, რომ საქართველოში ნომერ პირველ ინსტიტუტზე მოხდეს შეტევა, იყოს მცდელობა შტურმით აღების. ეს უნდა დავამთავროთ, რადგან ყველას კარგად გვახსოვს და ვიცით, თუ რამდენად დამაზიანებელი შეიძლება, იყოს ეს ქვეყნისთვის, დამაზიანებელია დაპირისპირება, სამოქალაქო ომები და ა.შ. ეს ყველაფერი წარსულს ჩავაბარეთ. სახელისუფლებო ცვლილებები უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით და უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

საჯანურ ძალას - საკადრისი პასუხი

ვუძღვნი ჩემს მეგობარ მანანა გიგინეიშვილს

რაღაცა ლპება დანიის სახელმწიფოში — Something is rotten in the state of Denmark (ეს ფრაზა ინგლისურად იმიტომ მომყავს, რადგან ამ ადგილს ივ. მაჩაბელი სხვაგვარად თარგმნის). დიახ, მარცელუსის სიტყვები შექსპირის „ჰამლეტიდან“ ზუსტად მიესადაგება საქართველოს დღიდან მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა (1991). არ წყდება წყევლა ჩვენს სახელმწიფოზე, ხოლო დღევანდელმა დღემ სულ არია ყველაფერი: მმართველი ძალა სულ ამტკიცებს ე. წ. „ნაციონალების“ სახელმწიფოსადმი ღალატს, მტრობას, ბოროტებას და ა. შ. მაგრამ მაინც ამ ხნის მანძილზე რეალური ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ ე.წ. „პარტიის“ აკრძალვისკენ და მათი თავკაცების ერთიანად დაპატიმრებისკენ. რატომ?

მე მგონი, ჩვენში არ არის ან თითქმის არ არის ისეთი პარტია ან მოძრაობა, რომელიც ღიად უპირისპირდება რელიგიას და რწმენას. მაშინ უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეზე, რომ გარდა იმისა, საქართველო „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა“, იგი ბოროტი ძალების შეტევასაც განიცდის ან, უფრო გასაგებად: მას, ვისაც ღვთისა სწამს, არ უნდა დაივიწყოს ეშმაკის არსებობაც. აი, რას წერს მე-20 საუკუნის გამოჩენილი იურისტი და დიდი მოაზროვნე **კარლ შმიტი** თავის „გლოსარიუმში“ (1947-1951 წლების ჩანაწერები): **„ვისაც ჩემი მოსპობა სურს, არ არის ჩემი მტერი, არამედ ჩემი სატანური მდევარია. კითხვა, თუ როგორ უნდა მოვიქცე მის წინაშე, უკვე აღარ არის პოლიტიკური, არამედ მხოლოდ თეოლოგიურად პასუხგასაცემია“.**

მიმდინარე მოვლენების თეოლოგიური შეფასება

ვიმეორებ კითხვას: **რატომ შესაბამის პასუხს არ სცემს მმართველი ძალა იმ მოძრაობას, რომელსაც მისი მოსპობა სურს? ის, რომ საქართველოს მოღალატე და მტრული მოძრაობა, ყოველგვარი „ნაცები“ და მათი მიმყოლები, მათი ბოღმისგან გადაღმეჭილი სახეებით, აშკარად სატანური გამოვლინებაა, ეჭვს არ იწვევს. ამას არ სჭირდება დიდი განსჯითი წიაღსვლები. ვისაც მცირეოდენი ინტუიციის უნარი გააჩნია, ამას უმალ შეიგრძნობს (ინტუიცია, განსხვავებით დისკურსიული (განსჯითი) შემეცნებისგან, რომელიც შემეცნების საგანს თანდათანობით და ნაწილობრივ იმეცნებს, გახლავთ შემეცნების საგნის მთლიანი ელვისებური წვდომა და უშუალო ჭვრეტა** — „ფილოსოფიის ისტორიული ენციკლოპედია“, ტ. IV, ბაზელი-შტუტგარტი, 1976 წ.). ჯერ კიდევ როდესაც სიორენ კირკეგორი საუბრობდა ცნება „დემონურზე“, აქ აშკარად მისტიკური ინტუიცია იკვეთებოდა (იხ. სიორენ კირკეგორი, „შიშის ცნება“, თბილისი 2014, გვ. 219).

ისევ და ისევ: რატომ არ სჯის შესაბამისად ამ სატანურ მოძრაობას მმართველი ძალა? პასუხი ამ კითხვაზე ჩვენს მკითხველს, შეიძლება, უცნაურადაც მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეს ვერ გავექცევით, ტრაგიკულ სინამდვილეს. გავიხსენოთ **ჰერმან ჰესეს** რომანი **„დემიან“. აქ მწერალი გნოსტიკოსი ბასილიდედან სესხულობს ღვთაებრივის იდუმალ სახელს „აბრაქსას“, მაგრამ მას მწერალი წარმოიდგენს, როგორც ღვთაებას, რომელსაც სიმბოლური ამოცანა აქვს დასახული, გააერთიანოს ღვთაებრივი და ეშმაკეული“.** მწერლის წარმოსახვაში ეს მტაცებელი ფრინველია და მისი განდიდებით მწერალი სატანას განადიდებს. დავუკვირდეთ: აბრაქსასი ერთი სხეულია, რომელიც აერთიანებს ღვთაებრივსა და ეშმაკეულს, მაგრამ მათი ასეთი გაერთიანება სატანურია და სატანურს წარმოადგენს. გონების დიდი დაძაბვა არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ „ნაცები“ და „ოცნება“ რაღაც ერთიან ეშმაკისეულ სხეულს წარმოადგენს. დიდი რუსი ფილოსოფოსის **ალეკსეი ლოსევის** თქმით: **„ეშმას უსასრულოდ ბოროტ ძალას მხოლოდ ისინი ვერ ამჩნევენ, ვინც ამ ძალას დაუბრმავებია და თავის მსახურად უქცევია“** (ალეკსეი ლოსევი, „მითის დიალექტიკა“, თბილისი 2017, გვ. 16).

ახლა საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ არის ეპოქები (სამწუხაროდ, ახლანდელიც), როდესაც ერის მასები განსაკუთრებით განიცდიან სატანის ზემოქმედებას, მისგან შეპყრობას (აქ მხოლოდ ქართველ ერს არ ვგულისხმობ). ქართულ ლიტერატურას ჰყავს მწერალი-მისტიკოსი, 1930 წელს გარდაცვლილი ბასილ მელიქიშვილი, რომელმაც თავის მოთხრობაში „თურმანი“, შესანიშნავად აღწერა, თუ როგორ ეუფლება სატანა მთელ ერს.

ახალგაზრდების გასაგონად ორიოდე სიტყვა რუსეთზე. რუსეთი არა მარტო შოვინისტების სამშობლოა, არამედ დოსტოევსკისა და მრავალი ახალმოწამე ქრისტიანის სამშობლოცაა. მართალია, რუსეთმა არაერთი ბოროტება მოახვია თავს საქართველოს, მაგრამ ეს როგორ შეედრება იმ ბოროტებას, რასაც ისლამურ რკალში მოქცეულები განვიცდიდით?! თვით მე-19 საუკუნეში, როგორც ვაჟა-ფშაველა წერს, **„მთელი კახეთი, ვიდრე შამილს დაიჭერდნენ გუნიბში, ლეკების სანავარდო მოედანი იყო. რა წამსაც კი კავკასიონის ქედზე თოვლი შეთხელდებოდა, გზა გაიხსნებოდა, კახეთის ტყე და ველები ამწვანდებოდა, იმ წამსვე ლეკების ბრბოები დაიწყებდნენ თარეშობას“. ან გავიხსენოთ ლეკთა ტყვეობიდან გამოქცეული დავით გურამიშვილის „სიმღერა“,** რომელმაც თავი კაზაკებს შეაფარა:

მარტო პერანგით მოსილთა
ყელზე ეკეთათ ჯვარები;
მიველ და ჯვარსა ვემთხვიე,
ვიწერე ზედ პირჯვარები...
როგორც რომ ერთმა ყაზახმან
მე მაშინ მომიარაო,
როცა რო მყვანდა, მივლიდა,
მეტს მამაჩემი არაო.

ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, მაგრამ ერი რჩება... რჩება ჩვენი მრავალმილიონიანი მეზობელი რუსეთიც...

ვიქტორ რცხილაძე

ბათუმი. 17 ივლისი, 2019.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახელდახელო პრეს-კონფერენცია ჟურნალისტებთან.

ბიძინა ივანიშვილი:

„ნაციონალური მოძრაობა“ და მის მიერ მართული არასამთავრობოები მავნებლები არიან!

„დღეს აჭარის რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნების ღონისძიებაზე საუბარი გვქონდა აჭარის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეზე არჩილ ხაბაძეზე. ამ ფონზე მინდოდა, გახსენება და ვერ გავიხსენე გუნდის წევრებთან ნარმანია, რომელიც თბილისის მერი იყო. თქვენ ნახეთ მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ და მათგან მართული არასამთავრობო ორგანიზაციები საშინელ შეტევაზე იყვნენ ნებისმიერ მშენებლობაზე. ნახეთ, რა დღეში იყვნენ „პანორამაზე“. უნიკალურ, არარენტაბელურ პროექტს ვაკეთებ თბილისში. ნახეთ, რა დღეში იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათ მიერ მართული ენჯეოები. მათ უნდათ, რომ მშენებლობა შეაჩერონ საქართველოში. უნდათ, დაანგრიონ ქვეყანა, ისინი მავნებლები არიან და არ მალავენ ამას. ზუსტად იგივე ხდება ბათუმშიც“, — განაცხადა გუშინ ბიძინა ივანიშვილმა.

სექტემბრიდან მეტად გავაქტიურდებით!

სექტემბრიდან მეტად გავაქტიურდებით, „ქართული ოცნებიდან“ მაქსიმალური რაოდენობა მოახერხებს რეგიონებში გასვლას და საზოგადოებასთან კომუნიკაციას, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა აჭარის რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნების შემდეგ განუცხადა.

„ჯერ საჯაროდ არ განგვიცხადებია, მაგრამ მოგახსენებთ, რომ უკვე აქტივი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან, პარლამენტიდან, საკრებულოებიდან გასულია რეგიონებში, უფრო მეტად მთიან რეგიონებში და სექტემბრიდან გაცილებით მეტად აქტიურები ვიქნებით. მაქსიმალური რაოდენობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან თუ პარლამენტიდან, მოახერხებს რეგიონებში გასვლას და საზოგადოებასთან მაქსიმალურ კომუნიკაციას. ჩვენ გავალთ და ვუპასუხებთ ყველა შეკითხვას. მათთან გვექნება ძალიან სერიოზული პოლემიკა ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რეგიონებში ყველას აშფოთებს გზა, წყალი, კანალიზაცია და სხვა. ჩვენ მათთან ერთად დავიხვეწებით გამოყოფილი თანხების ეფექტურად გამოყენებაში. მოვახერხებთ, რომ წლის ბოლომდე საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციებით ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი“...

სტრასბურგის სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას ჩვენ პატივს ვცემთ და ანგარიშს გავუწევთ

„ჩვენი ხელისუფლება, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია „ქართული ოცნების“ წევრებისგან, აბსოლუტურად პატივს სცემს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც იქნება სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული, ჩვენ პატივს ვცემთ და ანგარიშს გავუწევთ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის 18 ივლისს სტრასბურგის სასამართლო სამ ქართულ საქმეზე — ე.წ. კორტების სპეცოპერაციის, „რუსთავი 2“-ისა და გოგალაძის საქმეებზე გადაწყვეტილებებს გამოაქვეყნებს. ეს საქმეებია: ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმე); ტელეკომპანია „რუსთავი-2“, ლევან და გიორგი ყარამანიშვილები და ტელევიზია „საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ; გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ (2008 წელს პოლიციის მხრიდან არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტები)“, — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

გამორიცხულია, „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების გზით მოვიდეს ხელისუფლებაში, ამიტომ საბაბს ეძებდნენ, რომ ვითარება აეყირავებინათ

„2016 წელს საქართველოში იმყოფებოდნენ რუსი დეპუტატები, სლუცკი, რომელიც გავრილოვზე გაცილებით მნიშვნელოვანი ფიგურაა და გვარს ვერ გავიხსენებ, „ფე-ეს-ბეს“ ყოფილი თავმჯდომარე, კავალიოვი? 2016 წელს მოხდა ეს, მაშინ სად იყავით? სად იყავით მაშინ? რა მნიშვნელობა აქვს, რასთან დაკავშირებით იყვნენ? სად იყავით მაშინ? ეს არის ის, რომ 2016 წელს კიდევ ჰქონდა თითქოს იმედი „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებით რამეს გააწყობდა. ახლა დაკნინების პროცესი რომ მოხდა და გამორიცხულია, რომ არჩევნების პროცესით მოვიდნენ ხელისუფლებაში, ნებისმიერ საბაბს ეძებდნენ, რომ სიტუაცია აეყირავებინათ. ეს იყო. გეკითხებით, იცით, რომ 2016 წელს სლუცკი იყო საქართველოში? იყო „ფე-ეს-ბეს“ ყოფილი შეფი, როგორც დეპუტატი. სად იყავით მაშინ?“...

* * *

ოკუპაციაშიც ლომის წილი მიუძღვის „ნაციონალური მოძრაობას“, ისინი შემოუძღვნენ რუსულ ჯარს და დღესაც ასე უნდათ, ტურისტი კი არ უნდათ, შემოვიდეს, უნდათ, რუსი ჯარისკაცი შემოვიდეს!

ამას აკეთებენ, ამისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს. იმ ოკუპაციაშიც ლომის წილია. რომ არა მათი დაუდევრობა, მათი ღალატი, მათი ქცევა, რუსის ჯარი ვერ შემოვიდოდა საქართველოში 2008 წელსაც“, — განაცხადა ივანიშვილმა.

„არ იფიქროთ, რომ მე ვამართლებ რუსის ჯარის შემოსვლას საქართველოში, ამას არანაირი გამართლება არ აქვს. „ქართული ოცნებიდან“ ჩვენ ყველანი ვიყენებთ ტერმინს, რომ ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი, მაგრამ ჩვენ ჩვენები უნდა გავასამართლოთ. დღეს რომ გულზე იხატავენ „არა ოკუპაციას“, ესენი ვის ეუბნებიან არა ოკუპაციას? მათ მოახერხეს ქართული ტერიტორიების ოკუპირება. „არა ოკუპაციას“ როდესაც იხატავენ გულზე, მათ უნდა მოსთხოვონ პასუხი ამაში „ნაციონალურ მოძრაობას“, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ოკუპაცია მომხდარიყო“.

ირაკლი კობახიძე გუნდს გადაეფარა და დატოვა თანამდებობა!

ირაკლი კობახიძემ შეხედა არსებულ სიტუაციას, ის გადაეფარა გუნდს, გადაეფარა სიტუაციას და დატოვა მანდატი. მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხა აჟიტირება ამ სიტუაციის. შეცდომა იყო ის, როდესაც გავრილოვი ჩაჯდა სპიკერის სავარძელში, ეს იყო პროტოკოლური შეცდომა, მაგრამ ეს არ იყო კობახიძის შეცდომა. მოხერხდა და მოხდა ეს დარღვევა, ამას მოჰყვა ობიექტური აღშფოთება საზოგადოებისა. კობახიძემ შეხედა არსებულ სიტუაციას, ის გადაეფარა გუნდს, გადაეფარა სიტუაციას და დატოვა მანდატი. ასეა დაკომპლექტებული ჩვენი გუნდი, ასეთია გახარიაც. კიდევ უფრო მაგარი კაცია გახარია, გახარია თანამდებობაზე საერთოდ არ იომებს. გახარიას გადადგომა დღეს სურს „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს ნიშნავს იმას, რომ ხვალ მოადგებიან პარლამენტს და პოლიცია აღარ უნდა დახვდეთ იქ, მოძალადეები უნდა შევიდნენ პარლამენტში. ის, რომ ლეგიტიმური იყო პოლიციის ქმედება, მთელმა მსოფლიომ აღიარა. რატომ უნდა გადაგდეს გახარია, „ნაცებს“ უნდათ მარტო, რადგან ძალის გარეშე ისინი ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, მაგრამ გარწმუნებთ, ვერც ძალით ვერ მოვლენ“...

რუსული ბაზრის დაკეტვის მსურველები ქვეყნის მტრები არიან!

ისინი, ვინც მიგვანიშნებენ, რად გინდათ რუსული ბაზარი, აგერ არის უკრაინის და ევროპის ბაზარიო, არიან უცოდინარნი, უმეცარნი.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, თუ შევხედავთ, განვითარებული ევროპული ქვეყნებიც კი როგორ ცდილობენ რუსულ ბაზარზე დამკვიდრებას, ყველაფერი ცხადი გახდება.

„რუსული ბაზრის ჩანაცვლება ადვილი არ არის არავისთვის, ევროპელებისთვის, მით უმეტეს, ადვილი არ არის ჩვენთვის, ელემენტარული მიზეზის გამო, რადგან პროდუქციის შეტანა და მასზე მომხმარებლის ყურადღების მიქცევა, არ არის მარტივი პროცესი, ამას სჭირდება წლები. ჩვენი პროდუქცია უკვე ცნობილია რუსეთში, ძალიან კარგად იციან და მას ჰყავს მომხმარებელი. დივერსიფიკაცია მოხდა წლების განმავლობაში, როდესაც დაკეტილი იყო რუსული ბაზარი. იმის მსურველები, რომ რუსული ბაზარი დაიკეტოს და ვაჭრობა შეწყდეს, არიან ქვეყნის მტრები“.

გახარიას გადადგომა დღეს იქნებოდა სამშობლოს ღალატი!

გიორგი გახარიას გადადგომა დღეს იქნებოდა სამშობლოს ღალატი, პირდაპირი მნიშვნელობით, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

„თუ ცალკეულ შემთხვევებში არაპროპორციული ძალა იყო გამოყენებული, ამაზე მიდის გამოძიება. იძიებს პროკურატურა, ერთი პოლიციელი უკვე ბრალდებულია, დანარჩენებს დაველოდებით“...

„გახარიას დღეს გადადგომა იქნებოდა სამშობლოს ღალატი, პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან გახარია რომ გადამდგარიყო 21-ში და 22-ში, ეს ბიჭები, ვინც ამას ორგანიზებას უკეთებდნენ და ის პოლიტიკოსები, რომლებიც ამ მოწოდებებს აკეთებდნენ, პარლამენტში შესვლა უნდოდათ, აბა, რატომ უნდა შესულიყვნენ, კითხვები დაუსვით, რა უნდოდათ პარლამენტში ძალით რომ შედიოდნენ, თუ არა სახელმწიფო გადატრიალება?! რა თქმა უნდა, ეს სურდათ და ის, რომ გახარია გადადგეს, ესე იგი შინაგან საქმეთა სამინისტრო აღარ არსებობს.

როდესაც ხდება ძალადობა, ძალის მიტანა ძირითად ინსტიტუტზე, პარლამენტზე და მას პოლიცია ვერ დაიცავს, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და გადადგეს, მაგრამ მან ეს მოახერხა. მან დაიცვა მოძალადე პოლიტიკოსებისგან, „რუსთავი 2“-ისგან სახელმწიფო ინსტიტუტი — პარლამენტი და მოახერხა, რომ ახალი უბედურება არ მომხდარიყო! ეს რომ ვერ მოეხერხებინა, მაშინ უნდა გადამდგარიყო. ამასთან, ბიძინა ივანიშვილმა განცხადა, რომ არც ვაშინგტონიდან და არც ევროპიდან არავის აქვს კითხვა 20 ივნისს ძალის გამოყენების ლეგიტიმურობაზე.

...ვითანამშრომლებთ ყველასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, პროპორციული სისტემის დაშვება 2020 წლიდან გულისხმობს იმის ალბათობას, რომ ერთმა პარტიამ და მათ რიცხვში „ქართულმა ოცნებამ“ გადალახოს 50%-იანი ბარიერი, იქნება რთული, თუმცა შესაძლებელი, მაგრამ არა აუცილებელი.

„ის, რომ მეტმა პარტიებმა აიღონ პასუხისმგებლობა მართვაზე და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, პროპორციული სისტემა უკეთესად გაუკეთებს რეალიზებას. ჩვენ ეს მივიღეთ თითქმის მოულოდნელად, თუმცა 2024 წელს უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი კარგად ავხსენი ჩემს განცხადებაში. მზაობა იგრძნობა ახალგაზრდების მხრიდან, მათ აქვთ სურვილი ჩართულობის. მეტი პარტია ჩაერთოს, მეტი პასუხისმგებლობა იყოს, მეტმა გაიზიაროს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ 2020 წელს უმრავლესობითაც მოვიდეთ და თუ არა, და ამის ალბათობა არსებობს, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ჩვენ ვითანამშრომლებთ, ალბათ, ყველასთან. ვისთან და როგორ, ამაზე 2020 წელს ვისაუბროთ, როდესაც გამოიკვეთება. ჯერ ნაადრევია“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ᲦᲐᲚᲐᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲢᲠᲝᲑᲔᲜ

ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ **რომელ ქართველ მტერ-მოღალატეებზე გვექნება საუბარი, ვფიქრობ, გათვითცნობიერებულ მკითხველს გამოცნობა არ გაუჭირდება. აქ გამოთქმული აზრების ობიექტურობაში ეჭვი რომ არავის შეეპაროს, ვიდრე კალამს მოვიმარჯვებდი, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ერთხელ კიდევ ჩავიხედე და ამოვიკითხე, — მოღალატე კაცის თანმდევი თვისებებია გამცემლობა, ვერაგობა და ორგულობაო. დამეთანხმებით, ამ თვისებებს არცთუ ურიგოდ ავლენენ ჩვენებური ნაციონალი მიშარასტები და არა მარტო ავლენენ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ისინი ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან.**

მე თქვენ გეტყვით, ამის დასტურად ფაქტების მოსაძიებლად ოკეანის გადაცურვა დაგვჭირდება. სულ ახლახან არ იყო, სააკაშვილის ტელეუნიტაზიდან არაკაც გაბუნიას პირიდან ამოფრქვეული, ქვეყნის სავერაგოდ და სამტროდ შედგენილი „მონოლოგი“ მთელმა დუნიამ რომ მოისმინა?! ჟურნალისტის მანტიას ამოფარებულმა, რუსოფობიით დასნეულებულმა არამზადამ, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტ პუტინს უშვერი სიტყვებით მკვდარ-ცოცხალი აგინა წარმოუდგენელი შეურაცხყოფით, სულში ჩააფურთხა არა მარტო რუს ხალხს, ამით შეურაცხყო ქართველი და რუსი ხალხების საუკუნეებგამოვლილ ტრადიციული ურთიერთობებიც. ამასთან, მშობლიური ქვეყანა (აქვს კი მას სამშობლო?) დააყენა უზარმაზარ ბირთვულ სახელმწიფოსთან აშკარა კომფრონტაციის წინაშე!

რა შეიძლება ყოველივე ამას დავარქვათ, საქართველოს ბედუკულმართობით შეძრული კაცის სულის ყივილი, თუ გაიძვერობა და ვერაგობა, მიმართული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ?! რა თქმა უნდა, რაც შეიძლება ამას შედეგად მოჰყოლოდა, იქნებოდა ნაყოფი არა ქვეყნის გულშემატკივარი კაცის სულის ყივილისა, არამედ მოღალატე, ქვემძრომი პიროვნების სულის სიმყრალისა. აკი, ამის მომსწრენიც გავხდით, როცა რუსეთის დუმის დეპუტატებმა ერთი ტუტუცი ქართველი ჟურნალისტის უხამსი გამოხტომის გამო იმდენი გვლანძღეს და გვთათხეს (ყბედი ჟირინოვსკი ვაზიანში რაკეტის ჩამოგდებითაც დაგვემუქრა!), რომ ლამის მთელი საქართველო ჯვარს აცვეს. ქართველების დასასჯელად და ჭკუის სასწავლებლად მიიღეს დადგენილება საქართველოდან მინერალური წყლებისა და ღვინის ექსპორტის, აგრეთვე ემიგრანტი ქართველების მიერ საქართველოში თანხების გადმორიცხვის აკრძალვის შესახებ და ხელმოსაწერად ქვეყნის პრეზიდენტთან აფრინეს.

კიდევ კარგი, პუტინი არ წამოეგო (რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ) ქართველი ექსტრემისტი ნაცების პროპაგანდისტული ტელებორდელის პროვოკაციულ ანკესს და დუმის დადგენილებას ხელი არ მოაწერა, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, ქართული პროდუქციის დაბლოკვა ჩვენს ისედაც წელკავიან ეკონომიკას რა დოზით დაადამბლავებდა. ამით ჩვენ დავზარალდებოდით, თორემ თავად პუტინი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოგებული დარჩა. ერთი ხელის მოქნევით მან ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა — ქართველი ხალხიც მოიმადლიერა (თქვა, მათი პატივისცემის გამო არ ვაწერ ხელსო) და მსოფლიო საზოგადოების თვალშიც მორიგი ქულა დაიწერა. თუმცა იქვე დიდი „იაღლიშიც“ მოუვიდა, როცა განაცხადა: აფხაზეთი და ოსეთი ისტორიულად არასოდეს ყოფილან საქართველოს შემადგენლობაში, ისინი ქართველებმა დაიპყრესო. ამით მიგვანიშნა, რუსებს რომ ოკუპანტებს გვეძახით, არც ქართველები ხართ ნაკლები ოკუპანტებიო.

ასეა, ამ ძაღლთაპირი ნაცების გადამკიდე, ქვეყანა ახლო მომავალში კიდევ რა საფრთხეს გადაეყრება, კაცმა არ უწყის. არადა, ამ სტაჟიანი პუტჩისტებისა და გადამტრიალებლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. დაწყებული ავანტიურისტი სააკაშვილით და დამთავრებული ენაყბედი ბობოხიძით, თითოეულმა ნაცმა მშვენივრად იცის, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მეორედ მოსვლას ვეღარ ეღირსებიან და ამიტომ მოქმედი მთავრობის ძალადობრივი გზით ჩამოგდებას ემზირებიან. ამ ბოროტი ზრახვის აღსრულების მცდელობას 20 ივნისის ღამით ჩვენ და ჩვენთან ერთად მთელმა მსოფლიომაც საკუთარი თვალით ვუცქირეთ. არაო, ხელებს ასავსავებენ ნაცბელადები, ჩვენ პარლამენტში შევარდნაზე კი არა, იმაზე ვთათბირობდით, ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებით რუსეთის დუმელი გავრილოვის შეურაცხმყოფელი ქმედებით აღშფოთებული ხალხის მღელვარება როგორ ჩაგვეცხრო, მაგრამ ჯალათმა გახარიამ ამ კეთილი მისიის შესრულება არ გვაცალა, მშვიდობიან მომიტინგეებს ტყვიები დაუშინა, უამრავი ადამიანი დაასახიჩრა, რისთვისაც მან კანონის მთელი სიმკაცრით პასუხი აგოსო. თავის მხრივ, გახარია პირდაპირ ადებს ხელს ნაცბელადებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში და აცხადებს — ჩემი თვალით ვუყურებდი, ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი როგორ ხელმძღვანელობდა შტურმს პარლამენტში შესავარდნად. მარტო კი არ ვიყავი, ჩემთან ერთად რამდენიმე ქვეყნის ელჩებიც იყვნენო.

იყვნენ თუ არა უცხო ქვეყნის ელჩები იმ საბედისწერო ჟამს პარლამენტის შენობაში, ამას გამოძიება დაადგენს. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ნაცების მიერ ჯალათად მონათლულმა მინისტრმა ქვეყნის მოღალატე ნაცბანდას ავი ზრახვები ჩაუშალა, მან თავისი სწორი და გაბედული გადაწყვეტილებით საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების აშკარა მცდელობა აღკვეთა და ქვეყანა დიდ შფოთსა და უბედურებას გადაარჩინა. ეს ნაძირალები ახლა გამოდიან და გახარიას გადადგომას მოითხოვენ — გახარიამ არაადეკვატური განკარგულება გასცა, პოლიციელები მშვიდობიან მომიტინგეებზე დაგეშა და აქცია სულ ტყვიების ზუზუნში დაშალაო. იმას კი აღარ ამბობენ, როცა მოძალადენი შეტევაზე იყვნენ გადასული, პოლიციელებს ხელკეტებს ურტყამდნენ, იტაცებდნენ და სცემდნენ. ამ უკანასკნელთ რა უნდა მოემოქმედებინათ, რეზინის ტყვიების ნაცვლად საბრძოლო ტყვიები გამოეყენებინათ და ხალხი დაეხოცათ?! ეს ჩვენთან ლიბერალობს ხელისუფლება გადამეტებულად, თორემ ევროპაში და თვით დემოკრატიის შუქურად აღიარებულ ამერიკაშიც კი სახელმწიფო ინსტიტუტების შტურმის შემთხვევაში პოლიციას უფლება აქვს, მოძალადეებს ცეცხლი გაუხსნას.

ერთი რამ ვერ გამიგია, როგორც „სუფთა ქართველი“ ნაცების, ისე „ევროპელი“ ნაცების თავკაცებს, რომლებსაც ბოკერიას ბელადობით თავი ინტელექტუალებად წარმოუდგენიათ, რატომ არ უნდა დაიჯერონ, რომ მას შემდეგ, რაც მათ საქართველო სისხლისა და უზნეობის მორევში აცურავეს, ხალხი მხარს აღარ დაუჭერს ნაცების არც ძალადობრივი და არც არჩევნების გზით განმეორებით ხელისუფლებაში მოსვლას,. არც იმათ, ვინც „გავრილოვის ღამის“ მომიზეზებით პარლამენტის წინ ანტისაოკუპაციო აქციებს მართავს და გახარიას უპირობო გადადგომას მოითხოვს. ვითომ ოკუპაციას იმიზეზებენ, მაგრამ ისინი სინამდვილეში ებრძვიან მტკიცე პრინციპების მქონე, უკანონობასა და სოდომისტურ ზნეობასთან შეურიგებელ მინისტრს, რომელმაც ქართველ პედერასტებს გეი-აღლუმების გამართვის სურვილი წაუხდინა.

ესეც არ იყოს, აქცია, რომელიც რუსთაველზე 20 დღეზე მეტია, გრძელდება, უკვე გადაიზარდა გაუგებარ შეკრებაში, სადაც გაუგებარი ინტუიციისა და მსოფლმხედველობის ადამიანები გაუგებარ ლოზუნგებს აფრიალებენ. „რუსეთი ოკუპანტიას“ გაუთავებელმა ძახილმა თუ რა ზიანი მოუტანა ქვეყანას, ამაზე მოსკოვიდან ავიაფრენების შეწყვეტის წყალობით ტურისტთა ნაკადის შემცირებით გამოწვეული საბიუჯეტო ზარალიც მეტყველებს.

ბუნებრივია, შექმნილი ვითარება დააფრთხობს პოტენციურ ინვესტორსაც, რომელსაც გაუჩნდება განცდა, რომ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს სიტუაციას. ამით სარგებლობენ ძაღლთაპირი ნაცები, რომლებიც მთავრობის მაკომპრომეტირებელი ფაქტების საძებნელად დღენიადაგ დასუნსულებენ და მას ყოველდღიურად ახალ-ახალ თავსატეხს უჩენენ.

ძაღლის კუდი არ გასწორდებაო — გვმოძღვრავს ხალხური სიბრძნე. ვფიქრობ, არც ნაცების ღალატით მოქიცინე კუდს ეშველება რამე, თუ ისინი ერის წინაშე ჩადენილი ბინძური დანაშაულისთვის მთელი სიმკაცრით არ დაისაჯნენ. ამას „ოცნების“ მესვეურთა გასაგონად კიდევ ერთხელ ვამბობ, რომელთაც ხალხისთვის შეპირებული სამართლის აღსრულებას დემოკრატიის ალიბით ქვეყნის დამაქცევარ ნაცებთან თანაარსებობა-თანაძმობა ამჯობინეს და ამას ჩვენთვის თვალის ასახვევად კოჰაბიტაცია შეარქვეს.



მორჩა, მიშნაცების დადგმული სპექტაკლი დასრულებულია, სამართალი — კვლავაც აღსასრულებელი.

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲛᲐ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ნიზარ ისსა აბდულ-ჰადი ალ-ხაირალას შეხვდა.**

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში მინისტრის ინიციატივით გაიმართა და მას მინისტრის მოადგილეები გიორგი პატარიძე და ალექსანდრე ტაბატაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. მინისტრმა ერაყულ მხარეს მადლობა გადაუხადა 2018 წლის ოქტომბერში ერაყის ციხიდან საქართველოს მოქალაქე სამი ბავშვის საქართველოში დაბრუნების საქმეში გაწეული დახმარებისთვის.

თეა წულუკიანმა იმედი გამოთქვა, რომ ერაყული მხარე ბავშვების დაპატიმრებული დედის საქართველოსთვის გადმოცემაზე გააგრძელებს ორმხრივ თანამშრომლობას და იუსტიციის სამინისტროს ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ერაყელი მამის მიერ ერაყის რესპუბლიკაში გატაცებული საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვნის საქმე, რომელზეც იუსტიციის სამინისტრო ბავშვის დედასთან, საქართველოს მოქალაქე თ.ა.-ძესთან ერთად 2017 წლის ნოემბრიდან აქტიურად მუშაობს.

იუსტიციის მინისტრმა სერიოზული წუხილი გამოთქვა ერაყული სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე, რომელმაც გატაცებული ბავშვი მამას მიაკუთვნა და საქართველოს სახელმწიფოს მიერ დედისათვის აყვანილი ადვოკატის არც ერთი არგუმენტი არ გაიზიარა. იუსტიციის მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მიუღებელია, როდესაც ქართველ დედას უკრძალავენ, იცოდეს, ჯანმრთელია თუ არა მისი შვილი და როგორია მისი ყოველდღიური ცხოვრება.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მზაობა გამოხატა ორივე საქმეზე ქმედითი დახმარების აღმოჩენის თაობაზე, რასაც მიესალმა იუსტიციის მინისტრი.

ᲖᲘᲖᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲑᲘᲗ...

ᲩᲔᲛᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲓᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲩᲮᲣᲑᲘᲡ, ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲬᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲝᲠ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲬᲔᲡᲡ — „ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲘᲜᲔᲑᲐ“. ᲓᲐ „ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲬᲐᲥᲪᲔᲣᲚᲖᲔ ᲬᲘᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ!“

ეს ნაბიჭვრები და ცხოვრების სიმახინჯეები კი ცხოვრების ახალი წესების დამკვიდრებას გვიპირებენ, როგორც თავად მეტყველებენ, ისეთი უწმაწურობის დანერგვას ლამობენ და სერიოზული გამომეტყველებით მსჯელობენ სიტყვის თავისუფლებაზე.

თურმე ნუ იტყვით და ყოვლად გულისამრევი, საძაგელი და საზიზღარი გინება „სიტყვის თავისუფლება“ ყოფილა. საქმე არაა იმდენად შეურაცხმყოფელის და შეურაცხყოფილის პიროვნებებში, რამდენადაც მენტალიტეტში, ადამიანურ შეგნებაში. ვთქვათ, თუკი ქუჩაში მიმავალი ვიღაც სრულიად უცხო პირთა კინკლაობის მომსწრე გახდებით, რომელთაგან ერთი მეორეს მიმართ იგივე გამონათქვამი ისმის, რაც „რუსთავი-2“-ის ვაიტელეწამყვანმა გამოიყენა, რა ხასიათზე დადგებით და გულში რას იფიქრებთ?! სწორედ ასეთზეა ზედგამოჭრილი გამონათქვამი — „არაკაცი“, „ნაძირალა“. ისეთ თავისმომჭრელ საქმეზე „ხელის მომწერი“, რაზეც „პოსკრიპტუმის“ წამყვანი წავიდა, ან იარაღის მუქარის ქვეშ მყოფი, ანდა ნარკოტიკებით დაბანგული უნდა იყოს. რაღა თქმა უნდა, მხედველობაში მყავს ჩვეულებრივი ადამიანი, ყოველგვარი ფსიქიკური გადახრების გარეშე.

თუმცა, რაღაა გასაკვირი, როცა „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს, რომელიც ირწმუნება, რომ დედის გინება არ არის მის ტელეკომპანიაში მიღებული სტანდარტი, პირდაპირ ეთერში არაერთხელ უგინებია უშვერი სიტყვებით ის ადამიანი, რომელსაც არაფორმალურ მმართველს უწოდებს. ის კი, იმის მაგივრად კანონის ფარგლებში საკადრისი პასუხი გაეცა შეურაცხყოფისთვის, გულდამშვიდებით პირს იწმენდდა და თავის შუშის სასახლეს თავს აფარებდა, ემანდ, ღმერთმა არ ქნას, უცხოელმა მოკეთეებმა უცბად ეჭვი არ შეიტანონ, რომ საქართველოში სიტყვის შეუბილწავი თავისუფლება იჩაგრებაო!.. რა გასაკვირია, ტელეარხის ნაძირალა წამყვანს, უფრო მეტი ბილწსიტყვაობისა და სიბინძურის თქმის მადა მოსძალებოდა, რაც მის სრულიად სამარცხვინო მონოლოგში გამოჩნდა კიდეც.

ახლა ორიოდე სიტყვა მენტალიტეტზე... ჟურნალისტმა ალექსანდრე იოსელიანმა ასეთი ამბავი გაიხსენა: „1938 წელს მოსკოვში ქართველ კინემატოგრაფისტთა ჯგუფი ჩავიდა, რომელთა შორის დიდი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის მეუღლე და სოფიკო ჭიაურელის მამა, ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელიც იყო. სტუმრები სადილზე იოსებ სტალინმა მიიწვია. ბელადმა მიხეილ ჭიაურელს ჰკითხა — ვერიკო მოსკოვში რატომ არ ჩამოვიდაო? პასუხად ჭიაურელს უხუმრია — „განა ტულაში საკუთარი სამოვარით ვინმე დადის?“ სტალინს ხმა არ ამოუღია, მიტრიალებულა, ოთახიდან გასულა და სტუმრებთან აღარ გამოსულა. ჭიაურელი მიხვდა, რომ უკბილო ხუმრობა გამოუვიდა.

თქვენ კი იძახით კაციჭამია იყოო...“

მავანი ირწმუნება, რომ ტელეეთერში ბინძური ლანძღვა ლამის „მხედრით სვლა“ იყო „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობის მხრიდან. ამბობენ, რომ სტრასბურგის სასამართლოში ვერდიქტი მზადდება ტელეკომპანიის მფლობელთა საქმეზე, თანაც განაჩენი სააკაშვილისა და მისი დამქაშებისთვის არასასიკეთოა. კონსპირულოგიური ვერსიების მომხრეთა აზრით, თუკი საქმე მართლაც ასე წარიმართება, მაშინ შესაძლებელია პუტინის მხრიდან მისი მისამართით ლანძღვა-გინების საპასუხო შურისგებად წარმოჩენა და მორიგი ანტირუსული კამპანიის წამოწყება.

თუმცა, პირადად მე, მაინც ვერაფრით გამიგია, თუ რა კავშირია პუტინსა და სტრასბურგის სასამართლოს შორის.

რამდენიმე დღის წინათ ერთერთ ტელეგადაცემაში, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ სააკაშვილსა და მის ეშმაკებს „საქართველოს მტრები“ უწოდა. წამყვანის კითხვაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ამ შემთხვევაში პარტიის ხელმძღვანელობამ, ექსსპიკერი აშკარად აირია და თქვა, რომ მთავარია ოპონენტის იდენტიფიცირება, ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა.

კი, ბატონო, დავარქვათ... ჰოდა, რა მერე?!

საინტერესოა, ვკითხოთ ყოფილ პრემიერს, „ქართული ოცნების“ ამჟამინდელ ხელმძღვანელს — საერთოდ რისთვის მოვიდა იგი პოლიტიკაში, თუკი არ შეუძლია იმ ხელისუფლების დაცვა, რომელიც ასეთი დიდი იმედით ჩააბარა ხალხმა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებზე?

მთავრობასთან გამოცხადებულ ომში ჩაბმული მიმდინარე მიტინგების მონაწილეებიც სწორედ იმიტომ ითხოვენ შს სამინისტროს ახლანდელი შეფის გადადგომას, რომ იგი ერთადერთი კაცური ხასიათის მქონე კაცია ამჟამინდელ სამთავრობო გუნდში და აშკარად ხელს უშლის აზვირთებულ ბრბოს.

იყო დრო, როცა რედაქციის სახელით საკუთარი ხელით დამიწერია განცხადებები „რუსთავი-2“-ის დასაცავად, რომელსაც იმხანად საქართველოში სხვაგვარად მოფიქრალთა შუქურად მივიჩნევდი. სამწუხაროდ, დრო შეიცვალა. 7 ივლისის ღამე ტელეარხის წამყვანის მონოლოგმა ნეხვით სავსე კასრის აფეთქების შთაბეჭდილება დამიტოვა, რომელსაც მყრალი სუნი აუვიდა.

დაბოლოს, რედაქციაში ერთი ინკოგნიტო სატელეფონო ზარის შესახებ მინდა მოგითხროთ. ამჟამად საქართველოში ისეთი ვნებათაღელვაა, რომ ვშიშობ, ვინმეს თბილისში ინგლისური სოლსბერის მსგავსი ამბის ინსცენირების სურვილი არ დაებადოს, თორემ ბილწსიტყვა ტელეწამყვანის სახით რიტუალური მსხვერპლი მზადაა. **შემთხვევითი ხომ სულაც არ არის, რომ ნიკა გვარამია და მიხეილ სააკაშვილი ოდესღაც ოცნებობდნენ, „რუსთავი-2“-ის ეზოში სისხლი დაღვრილიყო. თუ ვის წისქვილზე მიაგდებდა წყალს ახლა მოვლენათა ასეთი განვითარება — სავსებით გასაგებია, ისევე, როგორც არც ისაა სამარჩიელო, თუ ვისკენ გაიშვერენ ხელს ამ შემთხვევაში მავანი რუსოფობები.**

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ აღნიშნულ წერილში „რუსთავი-2“-ის ტელეწამყვანის გვარი არც ერთხელ არ მიხსენებია.

ამის მიზეზი კი უკიდურესი ზიზღია.

ᲕᲐᲓᲘᲛ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐᲫᲔ,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡ ᲔᲑᲚᲐᲣᲭᲔᲑᲐ

„ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲣᲮᲢᲘᲗ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ“

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

მე, როგორც იურისტი ვთვლი, რომ ამ განხილვებში მართლა არ ყოფილა ისეთი დარღვევა, რაც სტრასბურგის სასამართლოს მიაღებინებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომ მხარეს შეელახა სამართლიანი სასამართლოს უფლება. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რას ემსახურება გვარამიას ეს განცხადება. წინასწარ როგორ შეიძლება იცოდეს გვარამიამ ან ვინმე სხვამ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სტრასბურგის სასამართლო“, — აცხადებს **პაატა სალია.**

მისი თქმით, ამ დავაში ქიბარ ხალვაში მხარეს არ წარმოადგენს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მხარეები არიან „რუსთავი-2“ — ყარამანიშვილები და „TV საქართველო“, ხალვაშის ინტერესებს იცავს სახელმწიფო და მოპასუხე არის იუსტიციის სამინისტრო.

„არ ვიცი, რას ემსახურება გვარამიას განცხადება. ვფიქრობ, ეს ისეთივე სპეკულაციაა, როგორც ადრე. პროგნოზების გაკეთება ცოტა რთულია. იურისტებს არც გვაქვს უფლება, ჩვენს კლიენტებს რამე გარანტია მივცეთ, შეუძლებელია, წინასწარ იცოდე, რას იზამს სასამართლო.

ანალიტიკოსების შეფასებით, ნიკა გვარამია „თავისუფალი სიტყვის“ დაცვის მოტივით ცდილობს პროცესების ესკალაციას და სწორედ ამას ემსახურება მისი მოწოდება, რომ „რუსთავი-2“-ის ეზოში ერთად იზეიმონ გამარჯვება. ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, მთლიანად პოლიტიზირებულია ტელეკომპანია „რუსთავი-2“, შესაბამისად, დაგეგმილ აქციასაც დიდი დოზით ექნება პოლიტიკური ელფერი.

„რთულია გადაწყვეტილების გამოცხადებამდე წინასწარი პროგნოზის გაკეთება. უნდა წავიკითხოთ, რა წერია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში და მერე გავაკეთოთ კომენტარები. ფეისბუქ-პოსტებზე არ ვაკეთებთ კომენტარს, მაგრამ, ზოგადად, ყველამ ვიცით, რას წარმოადგენს „რუსთავი-2“, ყველა მისი ნაბიჯი, ყველა გადაცემა, ყველა მისი ქმედება პოლიტიკურად არის დატვირთული. შესაბამისად, ამ აქციასაც ექნება პოლიტიკური დატვირთვა, რომ საზოგადოებას დაანახოს, თითქოს საქართველოში დამოუკიდებელი მედიის შევიწროება მიმდინარეობს, არა გვაქვს თავისუფალი სასამართლო და ა.შ. — „ნაცმოძრაობის“ ზედგამოჭრილი ნარატივია“, — აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

როგორც ანჯაფარიძე ამბობს, სტრასბურგის სასამართლოში მუშაობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, კავშირებიც აქვთ, შესაძლოა, ზუსტად არ იცოდნენ დოკუმენტის შინაარსი, მაგრამ შესაძლოა, რაღაცა ზოგადი ინფორმაცია ჰქონდეთ იმაზე, თუ რა ტიპის გადაწყვეტილება არის გამოსული. ამ პოზიციას იზიარებს საერთაშორისო მკვლევარი **თამარ კიკნაძე,** რომლის შეფასებით, ნებისმიერი მოვლენა, რაც საქართველოში ხდება, „რუსთავი-2“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთობლივად ცდილობენ, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, რომელიც მიმართული არის ქვეყნის დესტაბილიზაციისაკენ.

„უბედურება არის ის, რომ მათი და ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს არის კიდევ ერთი მცდელობა დესტაბილიზაციის. მე უკამოყოფილო ვარ ამ ხელისუფლების, იმიტომ, რომ ყოველდღე გვესმის უწმაწური სიტყვები, სახელმწიფო მოხელეების შეურაცხყოფა, სანამ პუტინს შეაგინებდნენ, მანამდე ივანიშვილს აგინებდნენ. ეს არ არის სიტყვის თავიუსფლების გამოხატვა. როდესაც ის ეხება უკვე სახელმწიფოს, ეს დასჯადი ქმედება უნდა იყოს. სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაცია უმაგრებს მხარს მათ ამაში. მორიგი დესტაბილიზაცია საქართველოსთვის არის დამღუპველი. ამიტომ ყველამ უნდა გავაკეთოთ ისე, რომ ეს არ დავუშვათ და მათ შორის არ დაუშვას სახელმწიფომ დესტაბილიზაცია. რაც მთავარია, „რუსთავი-2“-ის წყალობით 4 მილიარდი დოლარით დაზარალდა სახელმწიფო და პასუხი ამისთვის არ უნდა მოვთხოვოთ? ახლა კიდევ ახალი დესტაბილიზაცია უნდა ნიკა გვარამიას, რომელიც არ ჯდება არავითარ ქართულ ტრადიციაში და ქართულ ადამიანურ ღირებულებებში“, — ამბობს **თამარ კიკნაძე.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განმარტებით, მომხრეთა მიპატიჟება, ალბათ, ის სტილია, როდესაც 2008 წელს რუსთაველის გამზირზე „გამარჯვებას“ ზეიმობდა მიხეილ სააკაშვილი. თუმცა ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება მოტივი ისიც იყოს, რომ მარცხის შემთხვევაში შეკრებილი ხალხის მუხტი წარიმართოს საპროტესტო მიმართულებით და „რუსთავი-2“-მა დაიწყოს საპროტესტო აქციების გენერაცია. მე მგონია, რომ უფრო ამის ასახვაა.

„გამარჯვების იმედი ადამიანს როცა აქვს, ის ელოდება გამარჯვებას და წინასწარ არ იძახის ამის შესახებ. რადგან წინასწარ გაისმა მოწოდება ამ თემაზე, შეიძლება სწორედ რომ იმედი არა აქვს გამარჯვების და ხალხის მობილიზაცია სჭირდება ამ შემთხვევაში „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს. არ აპირებენ შეგუებას, ეს ნიშნავს, რომ არ აპირებენ, იყვნენ კანონმორჩილები. პარადოქსულია, მაგრამ ჩვენთან პარადოქსები ხშირია, როდესაც ევროპელობაზე თავს დებს ის მხარე, რომელიც არ აპირებს იყოს კანონმორჩილი. ევროპელობაზე თავს დებს პარტია, რომელსაც რევოლუციის განზრახვა ჰქონდა და აქვს. კანონმორჩილებას არ აპირებს ტელევიზია, რომელიც არადასვლურ ორიენტაციაში სხვებს ადანაშაულებს და თვითონ ორიენტაციები აშკარად არეული აქვს“, — აღნიშნა საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

როგორც საყვარელიძე აცხადებს, გვარამიას განცხადება ნიშნავს იმას, რომ საპროტესტო აქცია იქნება, თუ სასურველი შედეგი არ იქნა!..

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

მითი და რეალობა

აცრების შესახებ და ზოგი რამ გენ-მოდიფიცირებულ კულტურებზეც



„ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“!

მარტინ ლუთერ კინგი

19. გმო და დეპოპულაცია

მსოფლიოში საკვები პროდუქტების პრობლემის გადასაწყვეტად, სინამდვილეში კი დეპოპულაციის წარმატებით განსახორციელებლად, როკფელერის ფონდის დახმარებით დიდი ნაბიჯი გადაიდგა სოფლის მეურნეობის **გენ-მოდიფიცირებული(გმო) კულტურების** გამოსაყვანად, რომლებსაც, ვაქცინების ანალოგიურად, მომენტალური სიკვდილიც შეუძლიათ, გამოიწვიონ ალერგიულ ავადმყოფებში (ასეთები კი უხვადაა მასობრივი ვაქცინაციის წყალობით!), ავთვისებიანი სიმსივნეებიც და სტერილობაც!

გმო-თი სიკვდილის პირველი, ოფიციალურად დადასტურებული შემთხვევა 2017 წლის იანვარში გამოცხადდა – 31 წლის **ხუან პედრო რამოსი** თევზის (!) გენის შემცველმა, ანუ გენმოდიფიცირებულმა პომიდორმა გამოიწვია, რომელიც ზღვის პროდუქტებისადმი ალერგიულმა რამოსმა მიირთვა საუზმეზე, რასაც ძლიერი ალერგიული რეაქცია მოჰყვა (ძლიერი ქავილი, ყელის შეშუპება, წნევის დაცემა). რამოსმა თავად გაიკეთა ეპინეფრინის (ადრენალინის) ინიექცია და იგი მაშინვე ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მაგრამ ანაფილაქსიური შოკიდან მისი გამოყვანა ვერც ექიმებმა შეძლეს – არც ერთმა(!) ანტიალერგიულმა პრეპარატმა არ იმოქმედა, რამოსი ერთ საათში გარდაიცვალა. პორტუგალიაში მოყვანილი პომიდორი არა მარტო იმ ალერგენებს შეიცავდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, თევზში და ზღვის პროდუქტებშია, არამედ, ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულ (გამძლე) ისეთ გენებსაც, რომლებმაც ხელი შეუშალეს რამოსის სისხლის თეთრ უჯრედებს, დაეცვათ მისი სიცოცხლე! უნდა ითქვას, რომ **FDA-ს არასდროს არ მოუთხოვია არავითარი გამოკვლევები გმო-ს უსაფრთხოების შესახებ!**

რაც შეეხება გავრცელებულ მოსაზრებას გმო კულტურების უხვმოსავლიანობის შესახებ და, ამით შიმშილობის პრობლემის გადაწყვეტას, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, საქმე „ცოტა“ სხვაგვარად ყოფილა! **არ არსებობს არც ერთი გენმოდიფიცირებული თესლი, რომელიც უფრო მეტ მოსავალს იძლეოდეს, ვიდრე – ჩვეულებრივი და, რომელიც უფრო ნაკლებ ჰერბიციდებს საჭიროებდეს!** ყველაფერი, თურმე, გმო-ს მწარმოებელი გიგანტების სარეკლამო მითები ყოფილა!

შეერთებული შტატები პირველი სახელმწიფო იყო, სადაც 1997 წლისთვის გენმოდიფიცირებული სიმინდის, სოიოსა და ბამბის კომერციული მოყვანა დაიწყეს (ამ ნათესებს 15 წლის შემდეგ უკვე 70 მილიონ ჰექტარზე მეტი ეკავათ – ამ კულტურებისთვის გამოყოფილი მიწების 85-91 % !). გმო კულტურების ყოველი მოსავლისთვის საჭირო თესლთან ერთად, ფერმერები ვალდებული არიან, მსოფლიო მონოპოლისტი კომპანია „მონსანტოსგან“ შეიძინონ და გამოიყენონ აგრეთვე მხოლოდ კომპანიის მიერ დაპატენტებული ჰერბიციდი „**Roundup**“-იც (ძლიერი ტოქსიკური ჰერბიციდის – **გლიფოსატის** სავაჭრო მარკა), ეს აუცილებელი პირობაა, ფერმერს ხელს აწერინებენ იურიდიულ კონტრაქტზე!

ამ ჰერბიციდების სისტემატურ ყოველწლიურ გამოყენებას კი მოყვა ახალი, ჰერბიციდებისადმი გამძლე „სუპერ-სარეველების“ გაჩენა, რაზედაც ამერიკის ნაციონალურმა ტელეარხმა ABC-მ დოკუმენტური ფილმი გადაიღო ხუთი წლის წინ რუბრიკით – **„სუპერ-სარეველები, რომელთა განადგურება შეუძლებელია“**. საქმე იმაშია, რომ მისი ერთ-ერთი სახეობა (Palmer pigweed) გიგანტურ ზომებს – 2,4 (!) მეტრს აღწევს, უძლებს აუტანელ სიცხეს და ხანგრძლივ გვალვას, საკვებს ართმევს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, იძლევა 450 000-მდე თესლს და თუ დროულად არ იქნა ზომები მიღებული, ერთ წელიწადში მთელ ნაკვეთს იკავებს (ამის გამო, ზოგიერთი ფერმერი იძულებული გახდა, მიეტოვებინა მიწები). სარეველა იმდენად უხეშია, რომ კომბაინებით მოსავლის აღება ვერ ხერხდება, ხელის იარაღები კი, მისი მოჭრის მცდელობისას, ტყდება! **„ბიოლოგიური ჭირის ამ ახალმა მუტანტებმა“** მარტო არკანზასის შტატში (საერთოდ კი, იგი 10 შტატშია გამოვლენილი) სოიოსა და ბამბის ნათესების 400 000 ჰექტარი დაფარეს! **ასეთია ბუნების სასტიკი რეაქცია მის მექანიზმებში ადამიანის უხეშად ჩარევის ანთროპოგენურ მცდელობებზე!** ლონდონის მეცნიერების ინსტიტუტის ბიოლოგის **მეი-ვან ხოს** სიტყვებით: **„დაყოვნებული მოქმედების ეკოლოგიური ბომბი, რომელიც გმო-სთან ერთად გვიახლოვდება, საცაა აფეთქდება“**.

გმო კულტურების დანერგვის შემდგომ ათწლეულში (1994-2005 წლებში) გლიფოსატის მოხმარება, შემცირების ნაცვლად (როგორც იყო დაპირება), 16-ჯერ გაიზარდა (ყოველწლიურად 50 000 ტონა გამოიყენება) და იგი უკვე ერთ მილიარდ ჰექტარზე მეტ ფართობზეა მიმოფრქვეული – ფერმერულ მეურნეობებში და ჩვეულებრივ გაზონებზეც! კანის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა მოლეკულარული ბიოლოგის **ჯილ-ერიკ სერალინის** ხელმძღვანელობით დაადგინა, რომ გლიფოსატი (Roundup), რომელსაც რეკლამას უწევდნენ, როგორც „სარეველებთან მებრძოლს“ და „სუფრის მარილზე ნაკლებად მავნეს“, შეიცავს სპეციფიკურ ინერტულ ინგრედიენტს (**POEA**), რომელიც უფრო **დამღუპველია ადამიანის ემბრიონისთვის, პლაცენტისა და ღეროვანი უჯრედებისთვის,** ვიდრე თავად გლიფოსატი! კომპანია „მონსანტო“ კი უარს აცხადებს გაასაჯაროოს დაწვრილებითი ინფორმაცია „Roundup“-ის შესახებ, უწოდებს რა მას „კომერციულ“ საიდუმლოებას.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ფერმერებმა გმო-ს ნაცვლად, ჩვეულებრივი კულტურების მოყვანაზე გადასვლა იწყეს. უკვე 2008 წელს (1997 წელთან შედარებით) ორგანულ კვების პროდუქტებზე მოთხოვნილება 6-ჯერ გაიზარდა. ხუთი წლის წინათ გამოქვეყნდა 110 სახელმწიფოს 400 მეცნიერის და არასამთავრობო წარმომადგენლის სამწლიანი მსჯელობის შედეგი – „სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო შეფასება განვითარების მიზნით“ (IAASTD). ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მცირე მასშტაბის **ორგანული (!) მიწათმოქმედება – ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი შიმშილობასთან, სოციალურ უთანასწორობასთან და ეკოლოგიურ კატასტროფებთან საბრძოლველად**.

გმო-ს და აგრობიზნესის მომხრე ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცრუობს მოსავლიანობის თაობაზე, რათა თავიდან აიცილოს გმო-ს საწინააღმდეგო სახალხო ჯანყამდე მისული მასშტაბური საპროტესტო მოძრაობა, ანუ ზუსტად ისევე იქცევა, როგორც ჯანდაცვის სამინისტრო ვაქცინებთან დაკავშირებით, – მანაც იცის, სიმართლის სრული მასშტაბით გამჟღავნებას ბევრად უფრო საშიში აჯანყება შეიძლება მოჰყვეს!

ვაქცინების განხრით, ძირითადად, **გეიტსების** ფონდია დაკავებული, გმო-ს ბიოტექნოლოგიების განხრით კი – ევგენიკის მომხრე **როკფელერის** ფონდი (ევგენიკა – ადამიანის რასის გაუმჯობესება გამრავლებაზე კონტროლის დაწესებით და არასასურველი(!) ელემენტების მოსპობით!). ამ უკანასკნელის დაფინანსებით (შემდგომში გეიტსების ფონდიც შეუერთდა) აფრიკაში შიმშილობის პრობლემის გადაჭრის მიზნით 2007 წელს შეიქმნა ე.წ. „მწვანე რევოლუციის ალიანსი“, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს გაეროს გენერალური მდივნობიდან გადამდგარი **კოფი ანანი**. ალიანსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მარცვლეულების ახალი, ძირითადად, გვალვაგამძლე გმო-ჯიშების გამოყვანა იყო. 12 წელი გავიდა, მაგრამ სასურსათო პრობლემა არ გადაჭრილა, სამაგიეროდ, და ჩვენთვის სწორედ ეს არის საინტერესო, ალიანსის შექმნიდან ხუთი წლის შემდეგ ბიოტექნოლოგიური კომპანიის – **„ეპიციტის“** პრეზიდენტმა **მიტჩ ჰაინმა** განაცხადა: „სათბურში ჩვენ უკვე გვაქვს **სიმინდი, რომელიც სპერმის (!) საწინააღმდეგო ანტისხეულებს გამოიმუშავებს“!!!** ვფიქრობ, ზედმეტია კიდევ და კიდევ მაგალითების მოყვანა, ისედაც ცხადია, თუ რა პროექტებს აფინანსებენ **როკფელერ-როტშილდ-გეიტს-ბარუხები** (თავისიანებთან ერთად) და, რა არის მათი ჭეშმარიტი მიზანი! ეჭვი არ მეპარება, გენმოდიფიცირებული სიმინდის ამ სახეობას ჩვენთვისაც გაიმეტებენ... უანგაროდ! სიმინდის ამ სახეობას ვგულისხმობ, თორემ „მონსანტოს“ გენმოდიფიცირებული სათესლე კარტოფილით, სიმინდით და სოიოთი 1994 წლიდან დაწყებული ოთხი წლის მანძილზე „გვეხმარებოდნენ“ იმ პერიოდში განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს (ეს კულტურები ასობით ჰექტარზე დაითესა ქართლში, ჯავახეთში, გურიასა და სამეგრელოში, მაგრამ მოსავალი, სავარაუდოზე 2-3-ჯერ ნაკლები მოვიდა, ჩვენდა საბედნიეროდ!)!

სპერმასთან დაკავშირებით ერთი დაკვირვების შედეგიც არის ძალზე საინტერესო – აღმოჩნდა, რომ დღევანდელი მამაკაცის სპერმაში სპერმატოზოიდების რაოდენობა ორჯერ(!) ნაკლებია, ვიდრე 80 წლის წინანდელ, მეორე მსოფლიო ომამდელი პერიოდის მამაკაცის სპერმაში. ჰოდა, რაღა გვიჭირს – სპერმატოზოიდები ორჯერ შემცირებული გვაქვს, საშვილოსნოს (!) ყელის კიბოს საწინააღმდეგო, სინამდვილეში კი სტერილობის გამომწვევი ვაქცინით ბიჭებსაც უკითხავად გვიცრიან, პედერასტები გააჯეჯილეს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც მალე დაგვიკანონებენ „მეგობრები“, სპერმატოზოიდების საწინააღმდეგო ანტისხეულების გამომმუშავებელი სიმინდითაც მოგვამარაგებენ (თუ უკვე შემოტანილი არა აქვთ!) მსოფლიოს მოსახლეობაზე ფიქრით „თვალებგამოღამებული“ „პარტნიორები“ და, მეყოლეთ ვარდივით ამ თვალებდაფსებული, ღირსებააყრილი და ერის გადამშენებელი მამათმავალ-ლესბოსელების (გმო პროდუქტებთან და ვაქცინაციასთან ერთად) მხარდამჭერი მთავრობის ხელში!

ერთხელ და სამუდამოდ ყველამ უნდა გავიგოთ, უნდა შევიგნოთ, რომ ვაქცინაციის, გმო-პროდუქტების და ჰომოსექსუალიზმის სავალდებულო შემოღება თუ ხელშეწყობა–დაცვა – ეს არ არის მხოლოდ ტრანსნაციონალური კორპორაციების მომგებიანი ბიზნესი, ეს ამერიკის შეერთებული შტატების გასაიდუმლოებული სამთავრობო პროგრამაა! 2015 წლის აპრილში უცნობმა ჰაკერებმა, ანუ კომპიუტერების გამტეხებმა (სეიფების გამტეხის ანალოგიურად) ამერიკის პრეზიდენტის სერვერი გატეხეს და სახელმწიფო დეპარტამენტის მასალებში გრიფით „საიდუმლო“ აღმოჩნდა დოკუმენტი, სადაც **კვების პროდუქტები განიხილებოდა, როგორც ბიოლოგიური ომის ელემენტი!** მოკლედ და კონკრეტულად, ცხადზე ცხადია, რომ საიდუმლო ორგანიზაციების წევრების (გლობალისტ-მასონების) მიერ გატარებული პოლიტიკა, არსებითად, არის მრავალპროფილიანი სპეცოპერაცია, რომლის მიზანიც მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის კონტროლია, რაც მსოფლიოს მართვის ტოლფასია!

კაცთმოძულე არსებების სამხედრო ძლიერებამ და ჭარბმა ფულმა (რომელსაც თავად უბეჭდავენ დანარჩენ მსოფლიოს სავალდებულო მოსახმარად, როგორც საერთაშორისო ვალუტას) ისეთი გათავხედება იცის, რომ უკვე თავიანთ გლობალურ გეგმებში შეტანილ კორექტივებსაც გვიმხელენ და მიზნის მისაღწევ მეთოდებზეც ღიად საუბრობენ. მედიამაგნატი **ტედ ტერნერი** აცხადებს, რომ აუცილებელია **იძულებითი სტერილიზაციის(!) და იძულებითი აბორტების(!) შემოღება მთელ პლანეტაზე,** რათა 100 წელიწადში დედამიწის მოსახლეობა 2 მილიარდამდე იქნას დაყვანილი (ოდნავ უფრო „გულმოწყალე“ გახდა იგი, – ადრე ერთ მილიარდამდე შემცირებას უჭერდა მხარს)! ოღონდ, – არა ბირთვული იარაღით, არამედ ისეთით, რომელიც მხოლოდ ადამიანს გაწყვიტავს, და საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს ხალხების მიერ შექმნილ-დაგროვილი ქონება მთლიანად მათ დარჩებათ! ამისთვის კი, „მსოფლიო წესრიგის“ დამამყარებლები თავს უფლებას აძლევენ, ვისაც უნდათ, რამდენიც უნდათ და რაც უნდათ, ის შეუშხაპუნონ და ის აჭამონ ხალხის ჯანმრთელობის და სრულფასოვნად გამოკვების სახელით! ანდა, სრულიად დაუფარავადაც – საყოველთაო სტერილიზაციის და აბორტების დაკანონებით! „ჰუმანური“ პოლიტიკის მოწინააღმდეგეები კი ძალიან ადვილად შეუძლიათ ჩამორჩენილებად, შარლატანებად, უვიცებად, საზოგადოებისთვის საშიშ ელემენტებად შერაცხონ მათ მფლობელობაში არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მოსყიდული ჟურნალისტების ხელით, მათ ასევე ხელეწიფებათ სადამსჯელო ზომების მიღებაც – ჯარიმა-სამსახურიდან დათხოვნიდან დაწყებული, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით გაგრძელებული და ბავშვების ჩამორთმევით დამთავრებული! არ იფიქროთ, თითქოს, რაღაც რეალობიდან მოწყვეტილს ვამბობდე ან შორეულ მომავალზე ვსაუბრობდე, – არა, დეპოპულაციის პროგრამა ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო და წარმატებითაც ხორციელდება!

20. დასკვნის სახით

ყველაზე შეურაცხმყოფელი ისაა, როცა ბრიყვებად გვთვლიან (მთელ მსოფლიოს!), როცა პირში გვიცინიან, ზურგს უკან კი სამარეს გვითხრიან, როცა გვარწმუნებენ, რომ აცრები ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად, პროფილაქტიკური მიზნით კეთდება, რათა დაავადებებისგან დაცულებმა დიდხანს ვიცოცხლოთ, იმავდროულად კი, ყოველწლიურად ათეულობით მილიარდს ხარჯავენ დედამიწის მოსახლეობის ე.წ. „ოქროს“ მილიარდამდე დასაყვანად!

მოსახლეობას საკმარისი ინფორმაცია რომ გააჩნდეს ვაქცინების უსაფრთხოების და ეფექტურობის შესახებ – თუ როგორ მზადდება ვაქცინები და რისი ნაზავი, რა ათასი უბედურება (ვირუსების, ბაქტერიების, კიბოს უჯრედების,

დასასრული. დასაწყისი იხ. №137-140, 142-143

მძიმე მეტალების, შხამების, ქიმიკატების სახით) შეყავთ ჩვენს ორგანიზმში აცრების დროს, სათოფეზე არ გაიკარებდა მათ, მაგრამ არა, მშობლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ექიმებს ეკრძალებათ.

როგორც ჩანს, აბსურდის თეატრს საზღვარი არა აქვს – აქამდე ვიცოდით, რომ აცრები ინფექციური დაავადებების თავიდან ასაცილებლად კეთდებოდა, ახლა კი არაინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინებსაც იგონებენ მხოლოდ იმ არამეცნიერული დასკვნის საფუძველზე, რომ მაგალითად, საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულებში პაპილომავ ირუსი აღმოაჩინეს და, არად დაგიდევენ იმ ფაქტებს, რომ ეს ვირუსი სრულიად ჯანმრთელ ქალებშიც არის და კიდევ ბევრი სხვა მიკრობი თუ ვირუსი, მაგრამ ავად არ ვხდებით მანამ, სანამ, რაღაც მიზეზით (არასრულფასოვანი კვების შედეგად, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაუცველობით, დაბინძურებული წყლით და საკვებით, მედიკამენტებით და ვაქცინებით) არ დაგვიქვეითდება იმუნიტეტი, ანუ არ დასუსტდება ჩვენი იმუნური სისტემა! გაგეცინება, აბა რა, როცა გაიგებ, რომ ვაქცინაციით(!) გამოწვეული **აუტიზმის მკურნალობას ... ისევ ვაქცინით, აუტიზმის საწინააღმდეგოდ შექმნილი ახალი ვაქცინით(!) აპირებენ!** ვაქცინებით აპირებენ შიდსის და სიმსუქნის მკურნალობასაც! **შპრიცის ნემსით ორგანიზმში ჯანმრთელობის შეყვანა შეუძლებელია!**

არ იცი, რა უნდა მოიმოქმედო კაცმა – მწარედ იცინო თუ ცხარედ იტირო უძლურებისგან, როცა, ერთი მხრივ იცი, რომ ვაქცინაცია დეპოპულაციის მიზნით კეთდება და, ამ დროს, მეორე მხრივ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას **ვაქცინაციისადმი უნდობლობა(!), მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის გლობალური საფრთხეების(!) სიის ათეულში შეჰყავს 2019 წელს** და, თან, ყველა სახელმწიფოსგან **საგარანტიო წერილს** ითხოვს იმის თაობაზე, რომ ვაქცინაციით გამოწვეული გართულებების შემთხვევაში მათგან არავითარი პრეტენზია არ იქნება წამოყენებული!

ისე, **რა უნდა გვიკვირდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან, რომელმაც ფსიქიკურ დაავადებათა სიიდან „პედერასტია“ და „პედოფილია“ ამოიღო, ხოლო „სიყვარული“ (!), ქრისტიანობის ქვაკუთხედი და კაცობრიობის ყველაზე ამაღლებული ცნება კი შეიტანა, და იგი ისეთ დაავადებათა რიცხვს მიაკუთვნა, როგორებიცაა ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია და კლეპტომანია** (ნებისმიერი რაიმე ნივთის მოპარვის დაუძლეველი სურვილი)!

ჯანმრთელობის შენარჩუნებას სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებით და დაცვით, სუფთა გარემოში ცხოვრებით (სუფთა წყალი, ჰაერი) და სრულფასოვანი კვებით (არა გმო და შხამ-ქიმიკატების შემცველი საკვებით) უნდა ვცდილობდეთ და არა – ახალ-ახალი ვაქცინების შექმნით და იძულებითი ვაქცინაციის დაკანონებით. **„იმ მომენტიდან კი, როდესაც სახელმწიფო ჩვენს სხეულზე ასეთ უფლებას მოიპოვებს** (იგულისხმება ნაძალადევი აცრები), **ჩვენ მისი ქონება, მონები ვხდებით“!** (ამერიკის ჯანდაცვის ეროვნული ფედერაციის ექსპერტთა საბჭოს წევრი **სეიერ ჯი**). **„ვაქცინაცია – მოტყუებაა. იძულებითი ვაქცინაცია – დანაშაული“.** ამას კი, ინგლისელი ბუნებისმეტყველი **ალფრედ რასელ უოლესი** ამბობდა ჯერ კიდევ 1898 წელს.

როგორც გმო-ს ადარებენ ეკოლოგიურ ბომბს, ზუსტად ასეთივე შედარებას აკეთებენ მეცნიერები ვაქცინებთან დაკავშირებითაც: **ვაქცინაცია – ეს დაყოვნებული მოქმედების ნაღმია, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს** – იმ წამსვე პოსტვაქცინაციური შოკის განვითარებით, რამდენიმე დღის შემდეგ უეცარი სიკვდილით ან აუტიზმით და, – მომდევნო თაობებშიც კი, უნაყოფობის გამოწვევით!

ჯანმრთელ ბავშვებს ვაქცინაცია არ სჭირდებათ, იმუნიტეტდაქვეითებულებისთვის კი წინააღმდეგ ნაჩვენებია. მასობრივი ვაქცინაცია – ეს ადამიანების მასობრივი მოწამვლაა! ესეც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების მოსაზრებებია.

ვაქცინების გვერდითი მოვლენების შესახებ გამოქვეყნებული უამრავი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ამერიკელი დოქტორი **შერი ტენპენი** (კონსულტანტი და ექსპერტი ვაქცინების საკითხებში), თითქოს, იმედიანად აცხადებს: **„იმედი მაქვს, რომ კაშხალმა როგორც იქნა ბზარი მისცა და მალე ყველასთვის ნათელი გახდება, თუ რატომაა ვაქცინები საფრთხის შემცველი და არაეფექტური და, რომ ისინი არათუ გვიცავენ ჩვენ, არამედ, პირიქით, ზიანს გვაყენებენ“!** მაგრამ, მეორე მხრივ, იცის რა, რომ ვაქცინებით გამოწვეულ დაავადებებზე და გართულებებზე ბევრად უფრო საშიში მათი იმუნურ სისტემაზე და დნმ-ზე შეუქცევადი ზეგავლენაა, ერთობ პესიმისტურადაა განწყობილი: **„ჩემი აზრით, ერთი თაობის შემდეგ ჩვენს პლანეტაზე ძალიან ცოტა ადამიანი თუ დარჩება დაუზიანებელი დნმ-ით, რომლებსაც ადამიანის მოდგმის გაგრძელება შეეძლებათ“!** სწორედ ეს არის მსოფლიოს მმართველი მილიარდერების ჩანაფიქრიც!

ვინ იქნებიან ეს დარჩენილი ადამიანები დაუზიანებელი დნმ-ით? რომელი ერის შვილები მოხვდებიან „ოქროს მილიარდში“? ძალიან ძნელი კითხვა დავსვი, ძნელი გამოსაცნობია?

ტრადიციული ბოლო კითხვა: **ჩვენ რაღა გვეშველება?**

და, ასევე, უკვე კარგად ცნობილი პასუხიც: **თავწაღუნულებს, შარვალჩახდილებს და მხოლოდ ღმერთის იმედზე მყოფებს – არაფერი!**

იაკობ ლეჟავა
ტ. 593-55-04-00



რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

603

უფრო დიდხანს ვიცხოვრებთ სხვებზე.

604

ლაგირინთებშიც კი გაჩნდა უკვე წარწერები: „დაბნევა აკრძალულია!“

605

სამართლიანობა თავის მხარეზე უნდა იყოს.

606

დგება ხოლმე ისეთი დრო, როცა სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ ფილოსოფოსს შეუძლია თქმა: „საბედნიეროდ, გაუგებარი დავრჩი!“

607

იმას სინდისი წმინდა აქვს, არასოდეს გამოუყენებია.

608

სულ ქვედა არქეოლოგიურ ფენებამდე რომ დავალთ, იქ ეგების იმ დიდი კულტურის კვალი აღმოჩნდეს, რომელიც ადამიანის გაჩენამდე არსებობდა.

609

ტექნიკა ისეთ სრულყოფილებას მიაღწევს, რომ ადამიანს თავისი თავი აღარ დასჭირდება.

610

ჯკუაზე ისინი იშლებიან, ვისაც ჭკუა აქვს.

611

ვისაც ბოროტმოქმედების ნაყოფი შეხვდება ხოლმე, კურკებს ნოყიერ ნიადაგზე მაინც ნუღა გადმოაფურთხებს.

612

საკმარისია, თავი ილუზიას მისცე, რომ რეალური შედეგები იგრძნო.

613

ღიმილის დროს ბაგეთა კუთხეები თავისუფლების ხარისხის პროპორციულია.

614

ადამიანებს ტიტვლებს ვხედავ, მაგრამ ყოველთვის არ ვამბობ, ვხედავ-მეთქი, ადგებიან და თავს შემამოსინებენ.

615

სიმართლეს, როგორც უდიდეს საუნჯეს, ცხრაკლიტულში ისინი ინახავენ, ვინც ამას ყველაზე ნაკლებად აფასებს.

616

უმეცრება ცოდნას არ ჩამორჩება. ისინი ერთად ითვისებენ გენიალობის ერთსა და იმავე შეუვალ სივრცეებს.

617

რას იტყვის ამაზე ფიზიკა? ადამიანთა ურთიერთობაში ხახუნს გაგრილება მოსდევს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142

618

ვინც არ ესწრება, ის არასოდეს მართალი არ არის, მაგრამ ხშირად სიცოცხლეს ინარჩუნებს.

619

ხან რაღაც იმალება იმის უკან, რის წინაც ჩვენ ვიმალებით.

620

გრმა ფანატიკოსს თვალებზე ეტყობა.

621

ხშირად მამების დანაშაულისთვის მხოლოდ ვაჟიშვილებს აჯილდოებენ.

622

გადაკრულად ვეკითხები, რა არის მიკიბულ-მოკიბული პასუხი ავიცდინო.

623

რომელი კაციც ცხოვრებას ვერ შეჰგუებია, თავიდან უნდა ვასწავლოთ, იქნებ ყოფიერების სხვა რომელიმე ფორმისთვის ივარგოს.

624

მეორედ მოსვლის პირველივე ნიშნების შემჩნევისას თუ სიტყვას ამინდზე ჩამოვაგდებთ, ყველა პირდაღებული მოგვისმენს.

დაუვარცხნელი აზრები



ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად ჯობდა ვიბანდეთ ხელებს

ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

625

შენ რა უნდა გექნა, უკეთუ შენს ღმერთს სურდა, რომ სხვა ღმერთების წინაშე გექო და გედიდებინა იგი?

626

გევრნი ავტობიოგრაფიებში თავიანთ არარსებობას ჩქმალავენ.

627

სიცრუე არაფრით არ განსხვავდება სიმართლისაგან, გარდა იმისა, რომ თვითონ სიმართლე არ არის.

628

როცა ტყვედ ჩავარდნილებმა ხელები ასწიეს, მტერმა ისეთი განრისხებულნი დაინახა ისინი, რომ თავად უკუიქცა შეშინებული.

(გაგრძელება იქნება)

◎ წერილი რედაქციას

ქვეყნის პატრონი ხალხია!

ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია დღევანდელობის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით

მიუხედავად **იმისა, რომ პირადი უთანხმოება მაქვს „ქართულ ოცნებასთან“ (მას მიტაცებული აქვს ჩემი საკუთრება – ხელისუფლებისთვის მიცემული თანხა სახელმწიფო სესხის სახით, რომლებიც უნდა დამბრუნებოდა 2002 წელს და დღესაც უტიფარ უარს ვიღებ ამ ჩემი ნანატრი მთავრობისგან), მიმაჩნია, რომ დღეს განვითარებული მოვლენების მარაზმი უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე... აღარ გათავდა პროვოკაციები და თითიდან გამოწოვილი სკანდალები.**

დავიწყოთ სარალიძის საქმით. ასეთი ჯგუფური, გამიზნული ჩხუბის დროს ან მოკლავენ, ან დაჭრიან ვინმეს, ბუნებრივია, დამნაშავე უნდა დაისაჯოს. არ უნდა მოხდეს დამნაშავეზე ხელის დაფარება. როგორ, სარალიძემდე არ მომხდარა ხელის დაფარება?!

მაგრამ აქ იპოვეს საბოტაჟის საბაბი ყავლგასულმა ნაცებმა და პირდაპირი ჩარევის რაღაცის მოლოდინში (ეს „რაღაცა“ ყველასთვის ცნობილია – ბოროტებით გაჯერებული რევანში), ეს ოჯახური ტრაგედია ისე გაამარგინალეს, რომ უსიამო პიროვნებად აქციეს თვითონ შვილმკვდარი მამა.

მაჩალიკაშვილის საქმე ეხებოდა ტერაქტის აღკვეთის მიზნით ჩატარებულ სპეცოპერაციას. თემირლან მაჩალიკაშვილი ფოტოდოკუმენტებიდან ხშირად იხილვებოდა საეჭვო ვითარებაში, ტერორისტის გარემოცვაში. ასეთ შემთხვევაში გონივრული ეჭვის შედეგად შეიძლება შეცდომაც მოხდეს და დაიღუპოს უდანაშაულო პირი.

მაგალითად, ლაფანყურის ოპერაციისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ექიმი, რომელზეც ტერაქტში მონაწილეობის არავითარი ეჭვი და მოკვლის საბაბი არ არსებობდა. პასუხი აგო ვინმემ ამ შეცდომისთვის?!

დღევანდელი ამბები მინდა, შევახსენო გრიგოლ ვაშაძეს. ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია ამხელა კაცი თავის დროზე რუსეთში მაღალ თანამდებობებზე ნამუშევარი (ხაზს ვუსვამ – **რუსეთში**) დგახარ, „უწყინრად“ უყურებ განვითარებულ მოვლენებს ისე, რომ შენს მაყურებელს გული ერევა შენ შემხედვარეს. მე, როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, შენში უფრო „ივანუშკა დურაჩოკი“ დავინახე, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე. რას ჰგავს შენი მოუზომელი, მატრაკვეცული, მეტწილად დანაშაულებრივი გამოხდომები მელიასა და მისთანების გვერდით? გყავს ძვირფასი ოჯახი, რატომ არცხვენ მას და საკუთარ თავს? იჯექი და უყურე საკუთარი მეუღლის ზეწარმატებულ მოღვაწეობას, მისი შემხედვარე შენც უნდა იმუხტებოდე სურვილით, იყო მეცენატი ქართული კულტურისა, რომელიც დღეს შექმნილი არაჯანსაღი გარემოს გამო განიცდის დისკომფორტს. არადა, ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ოდითგანვე ხიბლავდა მსოფლიოს. რამდენი ქართული მაღალი კულტურის ტრადიცია გაუთავისებია ცივილიზებულ სამყაროს! მაგრამ არა, შენ, ალბათ, მეტი არ მოგეთხოვება, რამდენადაც ხარ პროვინციული მენტალობის მატარებელი. ეს შენი ჰაბიტუსითაც კარგად ჩანს, ხმა რომც არ ამოიღო. იყავი, ბატონო, ვინც გინდა და რაც გინდა, ეს შენი მოწოდებაა, მაგრამ თავი დაანებე საქართველოსთვის მტრულ მოღვაწეობას და სულელური აზრების ფრქვევას.

ან რა გახდა ეს ერთი მუჭა რევანშისტული ბანდის მოქმედება, რომ ვერა და ვერ ეშველა? უკვე რამდენი წელია, საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრება აღარ ღირსებია, მაგრამ აქ ნაცისტებზე მეტ დანაშაულს სჩადის ბეღლის ყველაზე დიდი თაგვი – მთავრობაში, რომელმაც უვადო კოჰაბიტაცია შეკრა დამნაშავე ბანდასთან, უფრო იმიტომ, რომ ბუა ჰყავდეს ხალხის შესაშინებლად და ეს ბუა მგონია, მის გამბუებელს უფრო ვნებს, ვიდრე მთლიანად საქართველოს.

და კიდევ: ბიძინა ივანიშვილი, ცნობილი მეცენატი, წლების განმავლობაში მატერიალურად ინახავდა ქართული კულტურის წარმომადგენლებს, დიახ, ინახავდა... თავისთვის, როცა მას დასჭირდებოდა და აი, ამის დროც მოვიდა – 2012 წელი. გამოიყვანა გარეთ ეს რაფინირებული ქართველობა (როგორი ამაყი ვიყავი) და მართალია, გააკეთა უდიდესი საქმე, მაგრამ ბიძინას რომ თავისთვის არ ეზრუნა და ეს ინტელიგენცია არ შეენახა, ბევრად ადრე თვითონ ინტელიგენცია აიღებდა წინააღმდეგობის საქმეს ხელში და თან გაიყოლებდა ქართველ ერს... სულ სხვა შედეგ-გაგრძელებებით, ვიდრე ვართ ივანიშვილის სინამდვილეში.

რუსეთი ჩვენი ყველაზე დიდი, დაუნდობელი მტერია, მაგრამ ხომ მტერია. არსებობს ბრძნული გამოთქმა – **„მოუსმინე მტერს, თუ გინდა სიმართლე გაიგო“**. ასე რომ, მორჩით ნებისმიერი ღონისძიებით რუსთაველზე განვითარებულ კატათაგვობანას თამაშს და მიდით იმ აზრამდე, რომ ქვეყანას შენება უნდა და არა ნგრევა!

იქნება სულაც საჭიროა პლებისციტი?

ბოლოს და ბოლოს, ხელისუფალნო, გამოდით ხალხთან კონტაქტზე, ქვეყნის პატრონი ხალხია და არა, ახალგამომცხვარი პოზიციური თუ ოპოზიციური ბელადები.

ქართლოს ზაქარეიშვილი

ზურაბ გურული: მოქნილი ტვინების ნააზრევი გვჭირდება

„იმისთვის, რომ ენაც შევინარჩუნოთ და მსოფლიო პროგრესსაც არ ჩამოვრჩეთ, ახლებურად მოაზროვნე, მოქნილი ტვინების ნააზრევი გვჭირდება“, – ასე აფასებს აშშ-ის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიისა და ქირურგიის დეპარტამენტების დირექტორი, ასევე მისისიპის უნივერსიტეტის კლინიკური ანესთეზიოლოგიის პროფესორი ზურაბ გურული სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნებას, რასაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

ზურაბ გურული სოციალურ ქსელში ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge-ში გამოქვეყნებულ სტატიას „გოგებაშვილის მეთოდის პარადოქსი“ გამოეხმაურა:

პოსტს „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობს:

ძალიან კარგად დაწერილი, მოქნილი და აზრიანი სტატიაა დედაენის თემასთან დაკავშირებით; ჩემი აზრით, საუკეთესოც.

მშვენივრად არის გაფანტული როგორც მითები და ლეგენდები ე.წ. გოგებაშვილის მეთოდის შესახებ, ასევე ღირსეულად არის პატივმიგებული ეს დიდი ქართველი.

მე პირადად არ ჩავრეულვარ დედაენის ირგვლივ მიმდინარე კამათში, თუნდაც იმის გამო, რომ წარმოდგენა არა მაქვს, რას ნიშნავს სკოლაში გოგებაშვილისეული დედაენის დაბრუნება. არავის განუმარტავს გასაგებად, თუ რა პროცესია ეს, ანდა რატომ ითვლებოდა ეს წლები, რომ გოგებაშვილი განდევნილი იყო სკოლებიდან.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჯერჯერობით შვიდწლედის ყველაზე დიდ მიღწევად ივანიშვილის დენდროლოგიური პარკი ითვლება და საქართველოს ტოტალურად გაუნათლებელი (უმცირესი გამონაკლისის გარდა) სამღვდელოების აქტიურად ჩარევა-მიწვევას განათლების სისტემაში, საზოგადოებას აქვს ობიექტური უფლება ეჭვის თვალით შეხედოს აღფრთოვანებით დაანონსებულ გოგებაშვილის რეაბილიტაციას.

ამასთან, ცხადია იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს.

პირადად მქონია ურთიერთობა საუკეთესო ამერიკელ ქირურგებთან, რომლებიც ამავე დროს მოძღვრებადაც მოღვაწეობენ სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობის ეკლესიებში და ევროპელ ათეისტ ქირურგებთანაც, რომლებიც დახვეწილად ანგლობდნენ ცრურწმენებზე. ორივე ტიპის პროფესიონალები უმაღლეს კლასს მიეკუთვნებოდნენ თავიანთ პროფესიაში და ამაში მათ განსხვავებულ ფესვებს და აღზრდის წესებს ხელი არ შეუშლია.

განათლება ძალიან ფაქიზი დარგია. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ძალიან მცირე გავრცელების არეალის მქონე, მაგრამ უნიკალური მოქნილი ენით; შესაბამისად, ინიციატივები ამ სფეროში საეჭვო განათლებისა და სულისკვეთების მქონე პოლიტიკანებისაგან კი არა, პროფესიონალებისაგან უნდა მოდიოდეს, არგუმენტებითა და კვლევებით დადასტურებულ ნაშრომებზე დაყრდნობით.

მიმდინარე აჟიოტაჟი კი ისევ და ისევ ჰარიფი დილეტანტების უაზრო ანონსის ბრალია, რითაც იაფფასიანი პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობდნენ მავანნი და საზოგადოებაც შესაფერისი ენთუზიაზმით აჰყვა.

არადა, იმისათვის, რომ ენაც შევინარჩუნოთ და მსოფლიო პროგრესსაც არ ჩამოვრჩეთ, ახლებურად მოაზროვნე, მოქნილი ტვინების ნააზრევი გვჭირდება...

საბჭოს წევრი ჩემი ყოფილი რძალია, ამჟამად ინტერესთა კონფლიქტი აღმოფხვრილია

ვადასტურებ, რომ იუსტიციის საბჭოს წევრი თამარ ონიანი არის ყოფილი რძალი, თუმცა ამჟამად ინტერესთა კონფლიქტი აღმოფხვრილია, – ასე უპასუხა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა ზურაბ აზნაურაშვილმა იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის კითხვას, რომელიც საბჭოს ერთ-ერთ წევრთან ნათესაურ კავშირსა და ინტერესთა კონფლიქტს შეეხებოდა.

„თამარ ონიანი არის თქვენი მოქმედი რძალი. თქვენ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რომ წარგადგინოთ და შემდეგ პარლამენტმა აგირჩიოთ, ისტორიაში ეს დარჩება შავ ლაქად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ძალიან მაღალი კონკურსის შედეგად უნდა იყოს არჩეული. ეს არის შემთხვევა, როდესაც ამ ლაქას ძალიან ძნელად თუ თქვენ ჩამოიშორებთ. ამიტომ გეკითხებით, გაქვთ საშუალება რომ ამაზე თქვენი აზრი გამოხატოთ. რაიმე დისკომფორტს გიქმნით თუ არა ის, რომ თქვენს კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა თქვენი ოფიციალური რძალი“, – კითხვით მიმართა ნაზი ჯანეზაშვილმა. ზურაბ აზნაურაშვილის თქმით, ამჟამად თამარ ონიანი მისი რძალი აღარ არის.

„მე ვადასტურებ, რომ ის არის ყოფილი რძალი. ამჟამად თამარ ონიანი ოფიციალურად რეგისტრირებულ ქორწინებაში ჩემს ძმასთან აღარ არის. ჩემი აზრით, ინტერესთა კონფლიქტი არის აღმოფხვრილი. ამ საკითხზე მეტის თქმის სურვილი ნამდვილად არ მაქვს“, – განაცხადა ზურაბ აზნაურაშვილმა.

◎ რეპლიკა

ღია წერილი ქალაქის მერს, ბატონ კახი კალაძეს!

ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო, ნათქვამია. სადამდე უნდა გველაპარაკოთ თბილისის მთავრობის სხდომებიდან? ნებისმიერ სამუშაო ოთახზე არ არის წარწერა მოქალაქეთა მიღების დღეებისა და საათების შესახებ. სადამდე გაგრძელდება საქართველოში პიარკამპანია, როდის შეაჩერებთ მიგრაციას? რა ხანია გრძელდება მოსახლეობისგან საქართველოს დაცლა. უსამართლობის გამო ხალხის უკმაყოფილება ეხება ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებას, ვისაც შესასვლელში დაცვა უყენია, გარდა მეცნიერებათა აკადემიისა.

პატივისცემით
გურამ მაღრაძე-თმოგველი,
მეშახტე და მეტრომშენებელი. ტ. 597-33-05-70

ფქვილის გაძვირება დაიწყო, რა ემუქრება პურის ფასს?

რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული ბოლო მოვლენები უკვე აისახა ფქვილზე და ის 50 თეთრით გაძვირდა. ტენდენცია შეიძლება, კიდევ გაგრძელდეს, რადგან რუსეთი საქართველოსთვის ხორბლის მთავარი მომწოდებელია და ნებისმიერ დროს შეიძლება, ამ კუთხით ემბარგო დაგვიწესოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამბობენ, რომ პურის გაძვირების საფუძველი არ არსებობს.

მეპურეთა ასოციაციის თავმჯდომარის **მალხაზ დოლიძის** ინფორმაციით, ქვეყნაში ხორბლის დაახლოებით 3 თვის მარაგია. მიუხედავად ამისა, ფქვილი მაინც გაძვირდა.

„ეკონომიკის მინისტრმა დაადასტურა, რომ შემოდგომიდან ყაზახეთიც ჩაერთვება ხორბლის მოწოდებაში, რაც ძალიან კარგია, მით უფრო იმ ფონზე, რომ ტრანსპორტირების ნაწილობრივ სუბსიდირებაზეა საუბარი. ეს არის მოლოდინი, მაგრამ პრაქტიკაში, ჯერ ისევ ვართ რუსეთზე დამოკიდებული. არსებობს შიში ხორბლის მოწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ბოლო მოვლენები უკვე აისახა ფქვილის ფასზე და 50 თეთრით მყისიერად გაძვირდა“, — ამბობს მალხაზ დოლიძე.

საიმედოა წლევანდელი ადგილობრივი მოსავალი. წელს ხორბლის მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი 140-150 ათასი ტონაა. კახეთის რეგიონში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღების სამუშაოები თითქმის დასრულებულია და უახლოეს მომავალში ხორბლისა და ქერის აღება ქართლში დაიწყება.

„წელს ვვარაუდობთ, რომ 140-150 ათასი ტონა ხორბალი გვექნება, თუმცა ეს 600 ათასტონიან პრობლემას ვერ გადაგვიწყვეტს. ჩვენ 80%-85%-ით იმპორტირებულ ხორბალზე ვართ დამოკიდებული და, ბუნებრივია, უნდა გავზარდოთ მოსავლიანობა, ნათესი ფართობები. ჩვენ ვაკეთებთ ისეთ წინასწარ ღონისძიებებს, რომ ფერმერმა ხორბალი მიიღოს და გაყიდოს წარმატებულად. სწორედ ამისთვის კახეთში 84 ათასი კვ/მ სასაწყობო ფართი გაკეთდა და ამ მხრივ სამუშაოებს კვლავ გავაგრძელებთ“, — განაცხადა „საქმიან დილაში“ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **გელა ხანიშვილმა**.

თუმცა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, პურის გაძვირების საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს, რადგან ჯერჯერობით საგანგაშო არაფერი ხდება.

„ჩვენი ეკონომიკის პრობლემა ხორბალთან დაკავშირებით დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრებზე. არც რუსეთის, არც საქართველოს ხორბალი ამოგლეჯილად არ განიხილება; როდესაც მსოფლიო ფასები იზრდება, ბუნებრივია, ქართული ბაზარიც მისდევს ამ ფასებს. მე ყოველდღიურად მომდის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება მსოფლიო ბაზარზე და, ჯერჯერობით, რაიმე საგანგაშო ისეთი ციფრი რომელიც ამოვარდნილია სისტემიდან, არ ყოფილა.

ჩვენ გვაქვს მთავარი პრობლემა, როდესაც ორგანიზებული ბიზნესი არაორგანიზებულმა ჩაანაცვლა, რომელმაც რისკები გაზარდა. ამიტომ ჩვენი ყველა გადაწყვეტილება იქნება მიღებული არა ბიზნესის საზიანოდ, არამედ იმისთვის, რომ ეს მათი წარმატების საფუძველი იყოს“, — განაცხადა ხანიშვილმა.

პარალელურად ეკონომიკის სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს, რომ რუსეთს ხორბლის მოწოდების მხრივ ალტერნატივა გაუჩნდეს. მინისტრი **ნათია თურნავა** ყაზახეთის ხორბლის ექსპორტიორი მსხვილი სახელმწიფო კორპორაციის „პროდკორპორაციის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს **რინატ აკბერდინსა** და მმართველ დირექტორს **ნურბეკ დაიბეკოვს** შეხვდა. შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოში ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტის განხორციელების საკითხი.

თურნავას ინფორმაციით, ყაზახეთიდან ხორბლის საქართველოს ბაზარზე იმპორტის ზრდა მოგვცემს შესაძლებლობას, გავზარდოთ ხორბლის მარაგი. მან იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებები ყაზახეთთან წარმატებით დასრულდება და უკვე წელს ყაზახეთიდან ხორბალი კონკურენტულ ფასად შემოვა.

ბექა დანელია

მიწისზედა მეტრო – თბილისი-რუსთავი!

საქართველოს მთავრობის მიერ მოწვეულმა ავსტრიულმა საკონსულტაციო კომპანია MC Mobility Consultants GmbH-მა საქართველოს წარმომადგენლობასთან (MCmaxgeorgia) ერთად კვლევითი სამუშაოები დაიწყო რუსთავამდე მიწისზედა მეტროს მშენებლობის პროექტირების მიზნით.

რუსთავის ვიცე-მერმა ბესიკ ტოგონიძემ რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ კომპანიის ექსპერტებმა რუსთავის ინფრასტრუქტურის სამსახურიდან უკვე მიიღეს რუსთავი-თბილისის მიმართულებით და, პირიქით, მგზავრთა ნაკადის შესახებ ინფორმაცია. ვიცე-მერმა თქვა, რომ ექსპერტები „სასიამოვნოდ გაკვირვებულები დარჩნენ“ მგზავრთა ნაკადის რაოდენობით.

ბესიკ ტოგონიძემ მათ შეახსენა, რომ მიმდინარე წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც რუსთავის მოსახლეობამ მწვავე პროტესტი გამოთქვა კომპანია „ინტერტრანსის“ მიერ თბილისი-რუსთავის მარშრუტზე მგზავრობის ღირებულების მოსალოდნელი გაზრდის გამო, მერიამ მგზავრთნაკადის დადგენის მიზნით, სამოქალაქო სექტორთან ერთად მონიტორინგი ჩაატარა. შედეგების თანახმად, რუსთავიდან თბილისში და, პირიქით, მხოლოდ მიკროავტობუსებით 25 ათასი ადამიანი მგზავრობს. გარდა ამისა, ვიცე-მერის ინფორმაციით, დაახლოებით 2 ათასი ადამიანი მგზავრობს მინივენებით, ნაწილი მსუბუქი ტაქსებით, დამატებით, მგზავრები გარდაბანი-თბილისის ხაზზე მოძრავი მატარებლით გადაადგილდებიან. საგულისხმოა, რომ მატარებელი დღეში ერთ რეისს ასრულებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს ასევე იწვევს „ინტერტრანსის“ მუშაობის გრაფიკი, განსაკუთრებით პიკის საათებში, როცა თბილისსა თუ რუსთავში უამრავი ხალხი კომპანიის კუთვნილი მიკროავტობუსების მოლოდინშია. ბესიკ ტოგონიძის თქმით, განიხილება რუსთავამდე მიწისზედა მეტროს ხაზის მშენებლობის ორი ვარიანტი:

„ერთი ლილოდან, მეორე თბილისის აეროპორტიდან. წინასწარი ვარაუდით, მეტროს ვაგონების სალიანდაგო გადაერთება არსებულ სარკინიგზო მაგისტრალზე მოხდება დედაქალაქიდან დაახლოებით 20 კილომეტრში მდებარე გაჩიანის სარკინიგზო კვანძზე“.

2018 წლის 22 ოქტომბერს თბილისის მერმა კახი კალაძემ საზოგადოებას აცნობა, რომ დაგეგმილია სამგორიდან ლილოსა და აეროპორტის მიმართულებით მიწისზედა მეტროს აშენება. კალაძის თქმით, პროექტის განხორციელება 2019 წლის ბოლოს დაიწყება და 90 მილიონი დოლარი დაჯდება.

პროექტის ფარგლებში, 8 ახალი სადგური აშენდება და მოემსახურება 200 000-ზე მეტ ადამიანს. გარდა ამისა, მიწისზედა მეტროს განვითარების მეორე ეტაპზე იგეგმება თბილისისა და რუსთავის დაკავშირება მიწისზედა მეტროს საშუალებით.

რუსთავის ვიცე-მერის ბესიკ ტოგონიძის თქმით, ის ესაუბრა ავსტრიული კომპანიის ექსპერტებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ, სავარაუდოდ, მიწისზედა მეტროს მოძრაობის ინტერვალი თბილისი-რუსთავის ხაზზე 15-დან 30 წუთამდე იქნება, თუმცა ეს საბოლოოდ ლოჯისტიკური კვლევისა და პროექტის საბოლოო შემუშავების შემდეგ გახდება ცნობილი.

ლილოსა და აეროპორტის მიმართულებით, იქიდან კი რუსთავამდე მეტროს მშენებლობის პროექტი რამდენიმე თვეში უნდა დასრულდეს. რუსთავის ვიცე-მერის თქმით, მეტროს მშენებლობაზე ტენდერი, სავარაუდოდ, წლის ბოლოს გამოცხადდება.

დავით მჭედლიძე

უმთავრესია, შეჩერდეს ეს ქაოტური მშენებლობები

ბათუმის გენგეგმაზე კონკურსი უკვე მეორედ სექტემბერში გამოცხადდება



როგორც „კომერსანტს“ ბათუმის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა მირიან მეტრეველმა განუცხადა, ბათუმის გენერალურ გეგმაზე კონკურსი სექტემბრის პირველ დეკადაში გამოცხადდება. ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია ტექნიკური დავალება და აგვისტოში დასრულდება.

„ბათუმის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციაზე კონკურსს ოფიციალურად გამოაცხადებს ბათუმის მერია. აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ დავალებას ვამუშავებთ თავიდან და ის იქნება სრულად მორგებული განახლებულ კანონმდებლობას (მოგეხსენებათ, სამშენებლო მიმართულებით გარკვეული ცვლილებები ამოქმედდა). თავად კონკურსი გახლავთ ორეტაპიანი: ჯერ უნდა მოხდეს კვლევების წარმოება და დადგინდეს არსებული პრობლემები, შემდეგ კი არსებული მოცემულობის განვითარების დაგეგმარება. პროცესი ორწლიანია და საბოლოოდ გენგეგმა ორ წელში იქნება მზად“, — განმარტავს **მირიან მეტრეველი.**

იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის გენერალურ გეგმაზე კონკურსი უკვე მეორედ გამოცხადდა, კითხვაზე — რამდენად არსებობს ალბათობა, რომ ახლაც ჩაიშალოს — მეტრეველი გვპასუხობს, ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა ამჯერად ტექნიკური დავალება ბევრად გამართულია:

„ზუსტად ვერ გეტყვით, პირველად, გაზაფხულზე გამოცხადებულ კონკურსში, რატომ არ მიიღო არავინ მონაწილეობა. შეიძლება იმიტომ, რომ ერთმანეთს დაემთხვა კანონმდებლობის შეცვლა და კონკურსის გამოცხადება... თუმცა ახლა ეს ნაწილი გათვალისწინებულია და გვაქვს მოლოდინი, რომ შესაბამისი სექტორი დაინტერესდება“.

„კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად და დასაზუსტებლად **„სითი ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ მამუკა სალუქვაძეს** დაუკავშირდა. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გაზაფხულზე ბათუმის გენგეგმაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან ტექნიკური დავალება იყო ბუნდოვანი და სუსტი.

„თავის დროზე ტექნიკურ დავალებაში ბევრი უზუსტობა იყო, მაგალითად, თანხის გადაცემის პირობები, რომელიც მეორე ეტაპის დასრულებამდე შეუძლებელი იყო. ასევე პროფესიული საკითხებიც გაურკვეველი გახლდაც — მაგალითად, დოკუმენტში ზღვა იყო მხოლოდ ერთხელ ნახსენები და თითქოს საერთოდ სხვა ქალაქზე იყო მსჯელობა. მაგალითისთვის კი მოყვანილი ჰქონდათ თელავის გენგეგმა — მოკლედ, ბევრი რამ იყო დაულაგებელი და ამიტომ ყველამ თავი შევიკავეთ პირველ ჯერზე, ახლა ვნახოთ. ზოგადად ჯობს, რომ ტექნიკურ დავალებაზე მსჯელობა საჯარო იყოს და ასე უფრო გაუადვილდებათ დოკუმენტზე მუშაობაც (კონკურსიც არ ჩავარდება), მაგრამ მაინც დაველოდოთ სექტემბერს“.

როგორი იქნება ბათუმის გენგეგმა და რა ცვლილებები შევა დოკუმენტში? — მამუკა სალუქვაძე მთავარ აქცენტს მშენებლობის ნაწილზე აკეთებს.

„აქ ბევრი რამეა მნიშვნლოვანი, მაგრამ, ალბათ, უმთავრესია, შეჩერდეს ეს ქაოტური მშენებლობები, რამაც შეჭამა ბათუმი. ბეტონის მაღალსართულიანი სახლები კედელივით აეფარა ზღვისპირა ზოლს და გადაკეტა ყველაფერი. არადა, განაშენიანება, პირველ რიგში, უნდა გულისხმობდეს იმას, რომ სახლები მთებიდან ეშვებოდეს ჰარმონიულად და შენარჩუნდეს ბალანსი. ამიტომ გენგეგმაში ეს საკითხი აუცილებლად დარეგულირდება. ასევე მნიშვნელოვანია ტრანსპორტირების ნაწილიც... რა თქმა უნდა, რთულია ქალაქის უკვე დაზიანებული მხარის აღდგენა, მაგრამ დოკუმენტი ბიძგს მოგვცემს ბათუმის სწორად განვითარებისკენ“.

სალომე ლემონჯავა

◎ ჩემპიონთა ლიგა

ამჯერად გადავრჩით

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ წარმატების მოპოვებაზე უფრო რთული მისი შენარჩუნებაა.

ამიტომაც აფრთხილებდნენ „საბურთალოს“ მოთამაშეებს მათი კეთილისმსურველნი და მესვეურნი — ნუ დამშვიდდებით საპასუხო მატჩის წინ, რადგან გამოცდილი მეტოქე გყავთო, მაგრამ ხომ იცით, როცა ზურგს სოლიდური უპირატესობა გიმაგრებს, ძნელია საბრძოლველად სათანადოდ განეწყო.

„საბურთალო“ — „ზერიფი“ 1:3
პირველი მატჩი 3:0

მოლდოველებმა შეხვედრა სტახანოვურ ტემპში დაიწყეს და უკვე მე-10 წუთზე მასპინძელთა სამბურთიანი ჰანდიკაპიდან აღარაფერი დარჩა (ლაფიტი, მარგველაშვილი — საკუთარ კარში, ტანდე).

ასეთი კოშმარული დებიუტი ბევრ გუნდს გატეხავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდები მალევე მოეგნენ გონს და მდგომარეობა თანდათან გამოასწორეს, შესვენების შემდეგ კი ის „საბურთალო“ ვიხილეთ, რომელიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონის სტატუსს შეეფერება.

კვანძი 59-ე წუთზე გაიხსნა, როცა რამდენიმე გამოუყენებელი მომენტისა და ჩეხ მსაჯ პაველ ორელის, რბილად რომ ვთქვათ, სადავო გადაწყვეტილებების შემდეგ, რომელმაც ორჯერ თვალი დახუჭა სტუმართა კაპიტან კინდიშის მიერ საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშზე, ლაკვეხელიანის ფლანგურ გადაცემას როლოვიჩის (ბევრი უკვე გოლოვიჩს რომ ეძახის) ზუსტი „მუხლური“ მოჰყვა.

დასანანია, რომ თბილისელთა ბალკანელი სნაიპერი, რომელმაც ტირასპოლში გამართულ პირველ მატჩშიც გაიტანა ბურთი, მეორე ყვითელი ბარათის გამო ზაგრების „დინამოსთან“ მორიგი ეტაპის სასტარტო ბრძოლაში (თბილისი, 23 ივლისი) პარტნიორებს ვერ შეეშველება, თუმცა, არის დადებითი ფაქტორიც — ხორვატეთის დედაქალაქის სტადიონი „მაქსიმირი“ 30 ივლისს საპასუხო შეხვედრაში ცარიელი ტრიბუნებით დაგვხვდება. მიზეზი ბანალურია — იქაური კლუბის ზედმეტად ემოციურ ქომაგთა დისკვალიფიკაცია შარშან „ბენფიკასთან“ მატჩში ცოდვების გამო.

გიორგი ფოთაძე

◎ EHF-ის თასი

ევროპული კონტურები

საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა — ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებმა“ რანგით მეორე ევროტურნირზე — ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშებაში თავისი პირველი მეტოქის ვინაობა შეიტყო საწყის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ესაა ლუქსემბურგის საუკეთესო კლუბი „ეში“, რომელიც ვენაში, კონტინენტური მმართველი ორგანოს ოფისში გამართულმა წილისყრამ „გამოგვიწერა“ 7-8 სექტემბრისთვის, ხოლო წარმატების შემთხვევაში ზღვისპირელები ოქტომბერში პოლონურ „აზოტ-პულავს“ შეხვდებიან.

ამავე სტადიაზე ირაკლი ჩიქოვანის რუმინული „კონსტანცა“ თურქულ „ანთალიასფორთან მოსინჯავს ძალებს, რევაზ ჭანტურიასა და ირაკლი კბილაშვილის მაკედონიური გუნდი „მეტალურგი“ კი პირდაპირ მესამე საკვალიფიკაციო წრეშია დაშვებული და მისი 16 წყვილის გამარჯვებული ჯგუფურ რაუნდში ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ფორმატით აღნიშნული ტურნირი წლეულს უკანასკნელად ტარდება და მომავალი სეზონიდან მას ევროპის ხელბურთის ლიგა დაერქმევა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

დიდოსტატი რიონის ნაპირებიდან

ლეგენდარულ ქართველ მორაგბე ბართლომე ხამაშურიძეს 65 წელი შეუსრულდა. უფროსმა „ანტილოპამ“ მთელი ცხოვრება ოვალურ ბურთს მიუძღვნა და რაგბის სამსახურში კვლავაც ჩვეული შემართებითა და უანგაროდ იღვწის.

ბართლომე ხამაშურიძემ რაგბის თამაში საკმაოდ გვიან, 23 წლის ასაკში დაიწყო. გვარიანი ჯანის მქონე, სხარტი და ფეხმარდი ყმაწვილი სიყრმის პერიოდში უფროსმა დამ, მძლეოსანმა ღუღუნა ხამაშურიძემ „სპორტის დედოფლის“ სამყაროს აზიარა. ბართლომე ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა და რომ არა ლეგენდარული დუგლას კავთელაშვილი, რთულია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდებოდა უფროსი ხამაშურიძის სპორტული კარიერა.

ქუთაისის ვაკისუბნის ახალმა მკვიდრმა დუგლას კავთელაშვილმა უფროსი „ანტილოპა“ ბარგის გადატანაში დაიხმარა. „პეტროვიჩის“ მახვილ

თვალს ნიჭიერი ჭაბუკის საუცხოო სპორტული მონაცემები არ გამოჰპარვია და ბართლომეს „აიაში“ გასინჯვა ურჩია. რიონისპირელთა რაგბის მთავარი გუნდი სსრკ-ს პირველ ლიგაში სადებიუტო სეზონისთვის ეზადებოდა, როცა მისმა დამრიგებლებმა შაკო ქურციკიძემ და რამაზ სვანიძემ ბართლომეს გუნდის კარი უყოყმანოდ გაუღეს. „ანტილოპა“ რაგბიში მიღწეულ თავის მრავალ წარმატებათა მოთავედ შაკო ქურციკიძეს მიიჩნევს.

ბართლომე ხამაშურიძე თავიდან მესამე ხაზში გაამწესეს, თუმცა, უნივერსალური თვისებების მორაგბემ ქომაგს თავი უმეტესად ფრთაზე და ფულბეკის პოზიციაზე საუცხოო თამაშით დაამახსოვრა. ხამაშურიძეს სარაგბო თიკუნი — „ანტილოპა“ გრძელი და სწრაფი ნაბიჯებისა და ჰაერში ფეხით განსაკუთრებული მოძრაობის გამო ერგო. უფროსმა „ანტილოპამ“ „აიას“ რიგებში სამჯერ სსრკ-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ორგზის კი საბჭოეთის თასიც შემართა. სსრკ-ს ნაკრების ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფიგურამ დამოუკიდებელი ქართული რაგბის გარიჟრაჟზე მონაწილეობა ზიმბაბვესთან, ეროვნული ნაკრების ისტორიულ სადებიუტო შეხვედრაშიც მიიღო. ბართლომე ხამაშურიძემ მოქმედი სპორტსმენის კარიერა 40 წელს მიტანებულმა დაასრულა, თუმცა, „აიასთან“ ურთიერთობა წუთითაც არ შეუწყვეტია.

ბართლომე ხამაშურიძე მშობლიურ გუნდს ერთი ხანობა დამრიგებლობდა, შემდეგ კი „აიას“ დირექტორის ფუნქციასაც ასრულებდა. მართალია, წლებია, რაც უფროსი „ანტილოპა“ „აიას“ სტაფის წევრი აღარ გახლავთ, მაგრამ თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას რიონისპირელთა მთავარ გუნდს დღესაც უანგაროდ და ჩვეული ძალისხმევით ახმარს. აღსანიშნავია, რომ ბართლომე ხამაშურიძე ქუთაისური თანამედროვე რაგბის სკოლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელიც გახლავთ.

გამორჩეული ქველმოქმედი და ქუთაისის საპატიო მოქალაქე მშობლიურ მხარეში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს. მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მორაგბე, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწე დასავლეთ საქართველოში ბავშვთა ფონდის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის იაკობ გოგებაშვილის პრემიითაც დააჯილდოვეს.

ხამაშურიძეების ოჯახმა ქვეყანას ქალ-ვაჟი აღუზარდა. საბედნიეროდ, გენმა არ „დაიძინა“ და უმცროსი „ანტილოპა“ ბესიკ ხამაშურიძე გამოჩენილ „ბორჯღალოსნად“ და მოშვიდკაცედ იქცა. მამის მსგავსად, ფეხმარდობითა და ფილიგრანული ტექნიკით გამორჩეული უმცროსი ხამაშურიძე წლების განმავლობაში ქართული რაგბის მრავალრიცხოვან ქომაგს ფულბეკის პოზიციაზე ეფექტიანი და შედეგიანი თამაშით ხიბლავდა. ბესიკ ხამაშურიძე ამჟამად რაგბის დასავლეთ აკადემიის თავკაცის ფუნქციას ასრულებს.

ბუნებით ოპტიმისტი ბართლომე ხამაშურიძე ქვეყნის მომავალს და 3 შვილიშვილის მორაგბის კარიერას იმედით შეჰყურებს. ქალიშვილის მხრიდან ზუკა რაგბის ანბანს რუსთავში ეუფლება, ბესიკ ხამაშურიძის ვაჟები ბართლომე და მაქსიმე კი მშობლიურ ქუთაისში ოსტატდებიან. დიდი ბაბუის ყველაზე დიდი ოცნება სამივე შვილიშვილის ქვეყნის მთავარ გუნდში — „ბორჯღალოსანთა“ რიგებში ხილვა და ხამაშურიძეების სარაგბო დინასტიის ღირსეული გაგრძელებაა.

კოგა კოგანიძე

◎ 64

ენდშპილი - რინკისეულად

ანრი რინკი (1870-1952) — ფრანგი საჭადრაკო კომპოზიტორი, თანამედროვე მხატვრული ეტიუდის ერთ-ერთი კლასიკოსი, პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი. 1901 წლიდან გამოაქვეყნა 1400-ზე მეტი ეტიუდი.

ძირითადად განიხილავდა დომინანტურ პოზიციებს ლაზიერის და ეტლის დაპირისპირებისას მსუბუქი ფიგურების წინააღმდეგ, ისწრაფვოდა გამოეაშკარავებინა მათი შესაძლებლობა, რაც ენდშპილისთვის არის დამახასიათებელი.

მის ეტიუდებში იგრძნობა ა. ტროიცკის ზეგავლენა.

შენიშვნა:
რ. რეტის ცნობილი თეორიის მოტივებზე (1921) შექმნილი კომპოზიცია ა. რინკის მიერ დიდი ხიბლით არის იმპროვიზირებული.

ა. რინკი „რევიუ ჩეს“, 1922



მოგება

1. a4 ...b3 2. a5 ...c3
3. ...g1! ...d4 4. a6 ...e3
5. ...f1!
და მოგება

ა. რინკი „ჩესკო სლოვო“, 1924



მოგება

1. ...a7! ...f1 2. ...a2 ...h3
3. ...a8+ ...g7 4. ...a1=...
მოგება.

სხვა ვარიანტების გარჩევა მკითხველისთვის მიგვინდია.

მოამზადა
თამაზ შენგელია

ღმერთმა ულხინოს მის სპეტაკ სულს!

თამარ ზურაბიშვილი

(1928-2019)

ეს სახელ-გვარი თანამედროვე ქართველ ჰუმანიტართა სხვადასხვა თაობისათვის კარგადაა ცნობილი. ჩვენი დროის სავალდებულო სამეცნიერო ლიტერატურაში **თამარ ზურაბიშვილის** გამოკვლევებს თავიანთი კუთვნილი ადგილი ეჭირა და მათ ჩვენი უცხოელი ქართველოლოგებიც კარგად იცნობენ. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ავტორის სტატიები იბეჭდებოდა სოლიდურ ლინგვისტურ კრებულებსა თუ შრომებში.

საკმარისია, თვალი გადავავლოთ თამარ ზურაბიშვილის სამეცნიერო წერილების იქნებ არცთუ ძალიან გრძელ, მაგრამ თვისებრივად მნიშვნელოვან სიას, რომ დავრწმუნდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. დღეს კლასიკურ ნაშრომებადაა მიჩნეული მთელი რიგი ავტორისეული სტატიებისა, იქნება ის მავრცობ (ე.წ. ემფატიკურ) „ა“ ხმოვანზე თუ დროის აღსანიშნავად სახელობითისა და მიცემითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენების შესახებ და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად სასარგებლო გამოდგა მეცნიერის ვრცელი და საფუძველდამდები ნაშრომი „ტოპონიმიკის შესწავლისათვის“, რომელიც 1969 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტში (იმხანად ერთადერთში) პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის მიერ ქართული ენის კათედრასთან დაარსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის ახალგაზრდა წევრებს ტოპონიმიკურ ანბანად და ძირითად საწყის სამეცნიერო წყაროდ მოევლინა.

ამ სტრიქონთა ავტორებს წილად ხვდათ პატივი და ნამდვილი ბედნიერება, სხვადასხვა დროს სწორედ **თამარ ზურაბიშვილის** ხელმძღვანელობით დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში მიეღოთ მონაწილეობა: ელ. კოშორიძეს შიდა ქართლში, ხოლო მოგვიანებით — შუქია აფრიდონიძეს ორ „ლიტერატორ“ ამხანაგთან ერთად — რაჭაში. ქართლში მივლინებულ სტუდენტებს ექსპედიციის ხელმძღვანელმა ურჩია, „დედაენაში“ გამოყენებული, ამჟამად კი ნაკლებ გავრცელებული სიტყვები შეემოწმებინათ ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი მნიშვნელობის შესაძლო ცვალების თვალსაზრისით. ექსპერიმენტმა გაამართლა, რამაც აკად. ვარლამ თოფურიას გულუხვი ქებაც დაიმსახურა. არც წლების შემდეგ მოგვკლებია „რაჭის ექსპედიციის“ წევრებს ქ-ნი თამრიკოს რჩევა-დარიგებანი, ოჯახიანად ნიკორწმინდაში დასასვენებლად წასულმა რომ დაგვიბარა პირველადი ანგარიშის ჩასაბარებლად, წლების შემდეგ კი ჩვენთან ერთად გაიზიარა ის სიხარული, ზემო კრიხში ჩვენ მიერ ჩაწერილი ლობიანის სახეობათა სია *(შეკეცილი, დახვეული, სართვიანა, ლობუანი ჭადი)* რომ მოხვდა ქართული დიალექტოლოგიის აკადემიურ გამოცემაში...

ცხოვრება ისე აეწყო, რომ წლების შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი (შუქია აფრიდონიძე) ყოფილ საექსპედიციო ხელმძღვანელთან მოხვდა სამუშაოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში, რომელსაც ჩვენი ყოფილი საერთო ლექტორი და საყოველთაო „კერპი“ — **ივანე გიგინეიშვილი** ხელმძღვანელობდა. მასთან მუშაობა არა მარტო დიდი სკოლა იყო, არამედ ნამდვილი დღესასწაულიც. თამრიკო კი ამ განყოფილების ნამდვილი სული და გული იყო.

თამარ ზურაბიშვილის ამქვეყნიდან წასვლა არა მხოლოდ მისი დიდი ოჯახისათვის (მისი სიცოცხლის მასულდგმულებელი რომ იყო), მთელი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებრიობისთვის არის აუნაზღაურებელი დანაკლისი: მის საფუძვლიან მეცნიერულ დასკვნებს არამცთუ ყავლი არ გასვლიათ, არამედ ყოველდღიურად გვახსენებენ თავს თავიანთი სიმწიფითა და სიმყარით...

თამარ ზურაბიშვილმა დღევანდელი თვალსაწიერით იქნებ ასე თუ ისე ხანგრძლივად იცოცხლა, მაგრამ ჩვენ, მის ახლო მეგობრებსა თუ კოლეგებს, მაინც გვესაკლისება განგების მიერ მისთვის განსაზღვრული ვადა, არ გვემეტება ჩვენი ღვიძლი მეგობრის, შესანიშნავი, ნიჭიერი მეცნიერისა და ყველასათვის მარად საჭირო ადამიანის წასვლა ამქვეყნიდან. იგი ბოლომდე დარჩა ყველასათვის სასარგებლო და სასურველი, ხალისიანი და ძალიან საყვარელი მეგობარი. ორიოდ სიტყვით თუკი შეიძლებოდა მისი სულიერი ფიზიონომიის დახასიათება, ეს იქნებოდა: უანგარობა და ერთგულება, რომელთაც, თავის მხრივ, წმინდა სიყვარულის დიადი გრძნობა კვებავს...

ღმერთმა ულხინოს მის სპეტაკ სულს!

შუქია აფრიდონიძე, ელენე კოშორიძე, ასმათ პაპიძე

სულთათანა

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის, ბატონ



ნოდარ თავართქილაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს და კოლეგებს.

ნოდარ თავართქილაძე დაიბადა 1927 წლის 27 დეკემბერს თბილისში. 1953 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1953-1956 წლებში მუშაობდა „გიპროსოფლელექტროში“, 1956-1959 წლებში სწავლობდა თბილისის ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, საინჟინრო ჰიდრავლიკის სპეციალობით. 1959 წელს ბატონი ნოდარი მუშაობას იწყებს თბილისის ენერგეტიკისა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ჯგუფის ინჟინრად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1971 წელს მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1972-1974 წლებში მუშაობს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის კვლევით ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1975 წლიდან კვლავ ბრუნდება საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში და მივლინებით მუშაობას აგრძელებს ენგურჰესის ძალოვანი კვანძის უბანზე სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის უფროსად.

1977-2000 წწ. მოღვაწეობდა ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1992 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება, იგი იმავდროულად გადიოდა სტაჟირებას მოსკოვისა და პეტერბურგის ინსტიტუტებში. 2000 - 2006 წლებში ბატონი ნოდარი მუშაობს გარემოს დაცვის სამსახურში მთავარ სპეციალისტად. 2006-2010 წწ. „ჰიდროპროექტში“ მთავარ სპეციალისტად, ხოლო 2010 წლიდან მუშაობას აგრძელებს „გროსენერჯი ჯგუფის“ ჰიდროტექნიკის მთავარ სპეციალისტად.

ნოდარ თავართქილაძეს მიღებული აქვს ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხი.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

რუსუდან ჭავჭანიძე, იური, გუგა და კოკი ოსიპოვები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბრწყინვალე პიროვნების

ოთარ ჭავჭანიძის (უფროსის)

გარდაცვალების გამო.

„გადაიღე საქართველოში“

„ენბისი უნივერსალი“ (NBC UNIVERSAL) საქართველოში ფილმის გადაღების შესაძლებლობებს სწავლობს, — კინოსტუდიის წარმომადგენლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ უმასპინძლა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს და იმ შესაძლებლობებს, რომელიც საქართველოში კინოგადაღების მიმართულებით არსებობს. ამ კონტექსტში განხილული იყო პროგრამა — „გადაიღე საქართველოში“, რომლის ფარგლებშ ი NBC UNIVERSAL-თან ხანგრძლივი კომუნიკაციის ისტორია არსებობს. ჰოლივუდის კინოსტუდიის წარმომადგენლები საქართველოში ასევე სტუმრობდნენ რამდენიმე ლოკაციას, სადაც სხვადასხვა ფილმისთვის ცალკეული სცენების გადაღების საკითხი შეისწავლეს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მათ დაინტერესებას მიესალმება და მზად არის, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი გადაღებების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვაში.

მიმდინარეობს უძოს ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაცია

სამგორის რაიონის გამგეობა მესამე მასივში, უძოს ქუჩისა და უძოს შესახვევის სრულ რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტის მიხედვით, 6 430 კვ.მ ფართობის ტერიტორია წესრიგდება.

უძოს ქუჩაზე ასფალტის საფარი ამ დრომდე არ არსებობდა, ამჟამად კი ასფალტის ორფენიანი საფარი იგება. ასევე, მოწესრიგდება საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელები და მოეწყობა გზაგამყოფი კუნძულები.

მიმდინარე საგზაო სამუშაოებს სამგორის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი სოსო ბურდულაძე ინფრასტრუქტურის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ სამგორის რაიონის გამგეობის დაკვეთით, აღნიშნულ მისამართზე საგზაო სამუშაოები შპს „ჯეოსერვისმა“ მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო, თუმცა კომპანიამ დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც, გამგეობამ მასთან ხელშეკრულება შეწყვიტა. ახალმა კონტრაქტორმა კომპანია „არსაკიძე 2000“-მა მოსამზადებელი სამუშაოები 8 ივლისიდან დაიწყო და დღეისთვის, ასფალტის საფარი ტერიტორიის ძირითად ნაწილზე იგება. სამუშაოების მომდევნო ეტაპზე, უძოს ქუჩაზე საყრდენი კედლებიც მოეწყობა და გზის კაპიტალური რეაბილიტაცია ზაფხულის ბოლომდე დასრულდება. პროექტის ღირებულება დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარია.

კუს ტბის საბაგირო გზა დროებით იხურება

კუს ტბის საბაგირო გზა გადაუდებელი ტექნიკურის სამუშაოების გამო 18 ივლისიდან მგზავრებს დროებით ვერ მოემსახურება.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, გეგმიური შემოწმების შედეგად, დაიგეგმა საბაგიროს სრულად გამოცვლა, „საბაგირო მოწყობილობების (საბაგირო გზის, ფუნიკულიორის) უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ თანახმად.

„მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საბაგირო გზის ექსპლუატაცია შეჩერდება აღნიშნული სამუშაოების დასრულებამდე. თბილისის სატრანსპორტო კომპანია ბოდიშს გიხდით დისკომფორტისთვის“, — აცხადებენ მერიაში.

პერუს ყოფილი პრეზიდენტი დააკავეს

პერუს ყოფილი პრეზიდენტი ალესანდრო ტოლედო ამერიკის შეერთებულ შტატებში დააკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას პერუს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

პერუს ყოფილ პრეზიდენტს საკუთარ ქვეყანაში ბრალდება კორუფციის მუხლით აქვს წაყენებული.

პერუს სასამართლომ ტოლედოს დაკავების ორდერი 2017 წლის თებერვალში გასცა. ალეხანდრო ტოლედო პერუს პრეზიდენტი 2001-2006 წლებში იყო და ბრალად ედება კორუფცია, ასევე ბრაზილიურ სამშენებლო კომპანია „ოდებრეხტთან“ უკანონო შეთანხმების გაფორმება.

გამოძიების თანახმად, პერუს ყოფილმა პრეზიდენტმა და მისი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ბრაზილიური კომპანიისგან ქრთამის სახით 20 მილიონი დოლარი მიიღეს. სანაცვლოდ, აღნიშნულმა კომპანიამ ავტომაგისტრალის მშენებლობაზე მომგებიანი კონტრაქტი გააფორმა.

საიდან აქვს კიმ ჩენ ინს ორი მერსედესი?

ექსპერტებმა დაადგინეს გზები, თუ როგორ ხვდება ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან კიმ ჩენ ინთან ძვირადღირებული ნივთები და ფუფუნების საგნები. მაგალითად, 2018 წლის 14 ივნისს ნიდერლანდების ქალაქ როტერდამის პორტიდან კიმ ჩენ ინისთვის განკუთვნილი ორი დაჯავშნილი Mercedes-Maybach S600 Guard-ი გემით გაემგზავრა. მას ექვსი ქვეყანა უნდა გაევლო იმისთვის, რომ ჩრდილოეთ კორეაში ჩასულიყო. ამის შესახებ ვაშინგტონში დაფუძნებული თანამედროვე თავდაცვის კვლევების ცენტრის ანგარიშში წერია. ცენტრის თანამშრომლები ამ ანგარიშზე 8 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.

ჩინეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და რუსეთში გაჩერების შემდეგ, ორი ავტომობილი (თითოეულის ღირებულება 500 000 დოლარია) ჩრდილოეთ კორეაში გადააფრინეს.

ივარაუდება, რომ სწორედ ამ ავტომობილებიდან ერთ-ერთით მივიდა კიმ ჩენ ინი სამხრეთ კორეის პრეზიდენტთან შეხვედრაზე 2018 წელს.

ავტოკონცერი Daimler-ი, რომელსაც Mercedes-Benz-ის წარმოება ეკუთვნის, აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეასთან კავშირი უკვე 15 წელიწადზე მეტია, არ აქვს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ავტომობილების გადაყიდვის სფერო მათ კომპეტენციას სცდება.

50 წლის წინანდელი წერილი

ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროზე თევზაობის დროს მამა-შვილმა 50 წლის წინათ დაწერილი წერილი იპოვა, რომელიც ბოთლში იყო მოთავსებული.

წერილის ავტორი პოლ გიბსონია, რომელსაც ახლა წერილის მპოვნელი მამა-შვილი ეძებს.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ პოლ გიბსონი, როცა ამ წერილს წერდა, 13 წლის იყო, რომელიც გემით მოგზაურობდა ინგლისიდან მელბურნის მიმართულებით.



„გთხოვ მიპასუხე“ — ასე სრულდებაწერილი. თუ წერილში მითითებული თარიღები სწორია, მაშინ ახლა პოლ გიბსონი 63 წლის უნდა იყოს.

იცით თუ არა, რომ...

● 1941 წლის სექტემბრიდან საბჭოთა არმიაში მფრინავები სხვა სურსათთან ერთად იღებდნენ რძეს, ხილის ჩირს, დატკბილულ რძეს, კონსერვებს, მეზღვაურები კი — წითელ ღვინოს?

● მსოფლიოში ყველაზე დიდი ჯარი ჩინეთს ჰყავს (2 მილიონ 183 ათასი კაცი), შემდეგ მოდიან რუსეთი (1,9 მილიონი) და აშშ (1,38 მილიონი)?

● ციმბირში, რომელიც რუსეთის ფედერაციის 30 პროცენტს შეადგენს, მოსახლეობის 13 პროცენტი ცხოვრობს?

● თუკი ტელევიზორს დღეში 5 საათზე მეტს უყურებთ, უახლოეს წლებში მხედველობის დაქვეითების რისკი 70 პროცენტით მატულობს?

● პეკინში ამოქმედდა პლატფორმა „მწვანე მეგზური“, რომლით მოსარგებლე ავტომანქანების მფლობელებს, მისი უმოძრაოდ გაჩერების ყოველ დღეში 3,28 დოლარს უხდიან, რისი მიზანიც დედაქალაქის სმოგისგან გასუფთავებაა?

● ჩინელ იმპერატორთა აკლდემებიდან ავ სულებს გამხმარი კოჭათი აფრთხობდნენ?

● ვიეტნამი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც თოჯინების თეატრი წყალზეა განთავსებული?

ყველაზე ძვირი ბოტასები აუქციონზე

NIKE-ს ბოტასები სოტბის აუქციონზე 160 000 დოლარად გაიყიდება. „Moon Shoe“ კომპანიის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს ფეხსაცმელად მიიჩნევა.

ის Nike-ის თანადამფუძნებელმა ბილ ბობერმანმა 1972 წელს შექმნა, მთვარეზე პირველი დაშვების პატივსაცემად, რომელიც 1969 წელს შედგა. ფეხსაცმელი სულ 12 წყვილი გამოვიდა, ერთი მათგანი კი, რომელიც არავის უტარებია ცნობილ აუქციონზე გასაყიდად ახლა გამოაქვთ.

საწყისი ფასი 80 000 დოლარია, თუმცა სოტბის სახლი ვარაუდობს, რომ საბოლოოდ ვაჭრობის შედეგად ფეხსაცმელი 160 000 დოლარად გაიყიდება.

აუქციონზე კიდევ სხვა 100 იშვიათი და უნიკალური ბოტასი გამოაქვთ, მათ შორის Nike-ის Air Jordan 12 „Flu Game“, რომელიც კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანს NBA-ს ფინალზე 1997 წელს ეცვა.



მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8608; ევრო - 3.2107;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5551;
100 რუბლი - 4.5529; თურქული ლირა - 0.5007;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6834;
1000 სომხური დრამი - 1.6834.

ამინდი 18 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+23,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge